სექტემბერი 16 1995

# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №164 (233)

The KAVKASIONI

ფასი 1000 რუბლის შ/კ კუპონით

## 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა დაარღვიეს სამშვიდობო ხელშეკრულება და დაიწყეს შტურმი უიარაღო სოხუმზე

27 სექტემბრისთვის სეპარატისტები აპირებენ გამარჯვების ორი წლისთავის ზარზეიმით აღნიშვნას...



პირველი სვეტი

გენოციდის საქმე

## დანაშაული კაცობრიობის წინაშე



მასალები იხილეთ მე—3 გვ.

ვიზიტი

## ეს საკითხი მოსაგვარებელია და მოგვარდება



გუშინ საქართველოში ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა რუსეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი. ეს ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრეზიდენტ ბორის ელცინის სტუმრობის შემდეგ აუცილებელი იყო იმ გადაწყვეტილებების დაკონკრეტება და ხორცშესხმა, რომელთა მოგვარება საქართველოს და რუსეთის ლიდერებმა იმ ვიზიტის დროს გადაუდებელ ამოცანად დასახეს. ამიტომაც იყო, რომ ვიქტორ ჩერნომირდინს თან ახლდა რუსეთის მთავრობის თითქმის მთელი შემადგენლობა.

და კიდევ: ამ ვიზიტს მოუთმენლად ელოდა მთელი საქართველო, რადგან პრეზიდენტ ელცინის მიერ ბოლო დროს გამოხატული მკვეთრი პოზიცია აფხაზეთის საკითხების მოგვარების კარგ პერსპექტივას ქმნიდა.

ვიქტორ ჩერნომირდინი შუადღისას ჩამოვიდა თბილისში. ტრადიციისამებრ, ოქმით გათვალისწინებული იყო მისი და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირისპირ საუბარი, რომელიც შედგა

გაგრძელება მე—2 გვ.

გახსოვდეს აფხაზეთი

## ომით ან უომრად

დღეს შესრულდა ორი წელიწადი მას შემდეგ, რაც სოჭში 1993 წლის 26 ივლისს დადებულ ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოჰყვა აფხაზ სეპარატისტთა გააფთრებული შეტევა სოხუმზე. ყველას კარგად გვახსოვს, რა პირობებში იცავდნენ ქალაქს შიშველი ხელების ამარა დარჩენილი ქართველი მებრძოლები. შეტევის პირველ დღეებში, პრაქტიკულად, მძიმე ტექნიკისა და არტილერიის მხარდაჭერის გარეშე შესძლეს მათ მომხდურის შეჩერება. ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს ელოდნენ მაშველ ძალებს, მაგრამ დახმარება არ ჩანდა... იმდენად არეულდარეული, მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო მაშინ ქვეყანაში, რომ მავანთათვის სოხუმის დაცემა დიდ ზეიმად იქცა.

სეპარატისტთა მიერ ხელშეკრულების დარღვევას მაშინ მსოფლიო თანამეგობრობის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ რამდენიმე რეზოლუცია მიიღო, რომლებშიც, პირველყოვლისა, ხაზი ესმებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას და საზღვრების ურღვევობას. ამასთან, უშიშროების საბჭო, გმობდა პოლიტიკური და სამშვიდობო შეთანხმებების ხელყოფას, რაშიც, ძირითადად, არძინბას და მის დამქაშებს ადანაშაულებდა.

...ქართველმა ლტოლვილებმა კი ტანჯვა-წამებით გადმოლახეს საჭენ-ჭუბერის თოვლიან-ტალახიანი უღელტეხი-

გაგრძელება მე 2 გვ.



კავკასიონი

სარედაქციო კოლეგია:
რედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორი
მამუკა ფაჩუაშვილი
რედაქტორი
პაატა ვეშაპიძე
ივი ბოლოთაშვილი
დავით კახაბერი
შადიმან შამანაძე
ვახტანგ სალია
გულსუნდა სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი
მაია ტორაძე

რედაქცია:
პოლიტიკა, ინფორმაცია:
ია ანთაძე
დიანა გაბროშვილი
ხათუნა რეხვიაშვილი
მიხეილ კვიციანი
დავით ნინიკაშვილი
ზაზა ფაჩუაშვილი
[illegible]ალური კორესპონდენტი
შიდა ქართლში
გივი ბორცვაძე
„არილი"
რევაზ სირაძე
ირმა არჩუაშვილი
რევაზ გოგია
„თვალსაწიერი"
[illegible] მამაძე
ირმა კახნიაშვილი
მაია უჯლება
ნათია ფანჯიკიძე
სოსო ბარნაბიშვილი
სპორტი
კახა ფაჩუაშვილი
გოგა კვიციანი
იუმორი
ნინო სვანიძე
სარეკლამო სააგენტოს
დირექტორი
დიმიტრი მოსულიშვილი
ფოტოილუსტრაცია
გიორგი მატბერაშვილი
ტექნიკური დირექტორი
მამუკა ადამია
რედაქციის გამგე
ნატა სურმავა
მთ. ბუღალტერი
ციალა ლომიძე

კომპიუტერული ცენტრის
უფროსი
თენგიზ ჩოლოყაშვილი
პროგრამისტი
თამაზ ჩხაიძე
ლალი ჩოლოყაშვილი
ოპერატორები:
თამარ კერესელიძე
ელისო მალმახელიძე
მარი ნიკოლეიშვილი
კორექტორები:
ქეთევან ფოფხაძე
ეთერ პიპლიანი
მზიულა სირაძე

მისამართი:
თბილისი,
პეტრიაშვილის ქ.№7
ტელეფონი: 29-48-05

## ინფორმაცია

# ეს საკითხი მოსაგვარებელია და მოგვარდება

პირველი გვერდიდან

და იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ, პრაქტიკულად, შეცვალა მთელი შემდგომი პროგრამა. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფი თბილისში ერთი დღით ადრე ჩამოვიდა, მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მთავრობისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურების პირისპირ საუბარს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს განსახილველ საკითხთა მნიშვნელობას. შეხვედრა რომ ძალზე საქმიანი და კონკრეტული გადაწყვეტილებებით დატვირთული იქნებოდა, ჯერ კიდევ აეროპორტში იგრძნობოდა — დახვედრის ცერემონიალი ძალზე მოკლე, ლაკონური იყო და მეთაურებმა ტრადიციული მოკლე მისასალმებელი სიტყვებიც კი არ წარმოთქვეს.

ჟურნალისტები კვანძის გახსნას პრესკონფერენციაზე ელოდნენ. იგი დიდი დაგვიანებით დაიწყო (რაც უთუოდ ვიზიტის დაძაბული და დატვირთული სამუშაო ატმოსფეროთი იყო გამოწვეული) და მეტად მცირე დრო დაეთმო.

თავის შესავალ სიტყვაში ედუარდ შევარდნაძემ უპრეცედენტო უწოდა ამ ვიზიტს, რადგან რუსეთის დელეგაციის შემადგენლობა მეტად ფართო იყო — საქართველოს ეწვია რუსეთის მთავრობის თითქმის მთელი შემადგენლობა, ქალაქ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და სხვა პასუხისმგებელი პირები. ამ მომენტს ვიქტორ ჩერნომირდინმაც გაუსვა ხაზი და რუსეთის დელეგაციას სოლიდური და ერთობ წარმომადგენლობითი უწოდა.

„ბორის ნიკოლოზის ძე ელცინის ვიზიტის დროს, ხელი მოვაწერეთ დიდ ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და ყოველმხრივ თანამშრომლობას ეხებოდა. დღევანდელი ვიზიტი ამ პროცესის ღირსეული გაგრძელებაა!" — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ და დამსწრეთ გააცნო იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებსაც ოფიციალურად მოეწერა ხელი. ესენია: ხელშეკრულება სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე სამოქალაქო, სისხლის სამართლის და საოჯახო საქმეების გამოძიებაში; შეთანხმება რკინიგზის ტრანსპორტის მოქმედების საერთო კოორდინაციის შესახებ; შეთანხმება სავალუტო და საექსპორტო კონტროლის საკითხებში თანამშრომლობაზე; ხელშეკრულება რუსეთის მოქალაქეთა უფლებრივ სტატუსზე საქართველოში და საქართველოს მოქალაქეებისა — რუსეთში; ხელშეკრულება რუსეთის არმიის სამხედრო ბაზების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე და ოქმი რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფებისთვის დამატებით სამხედრო ქალაქების გადაცემაზე; ოქმი ვესიოლოე-ინგირის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების პროცესში საფუძვლიანად განიხილეს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების საკითხი. „მგონია, რომ სწორ გზას ვადგავართ, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — პრეზიდენტმა ელცინმა პრესკონფერენციაზე გამოხატა თავისი პოზიცია და ჩვენი საუბარიც სწორედ ამ სულისკვეთებით წარიმართა".

ცოტა მოგვიანებით, ვიქტორ ჩერნომირდინმა აფხაზეთის შესახებ ჟურნალისტის შეკითხვას მოკლედ, მაგრამ კონკრეტულად უპასუხა: „ეს საკითხი მოსაგვარებელია და მოგვარდება!"

ამასთან, მხარეთა მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია:

„რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აუცილებელი გარანტიაა კონფლიქტთა მოგვარება. ედუარდ შევარდნაძემ და ვიქტორ ჩერნომირდინმა დაადასტურეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და არსებულ საზღვართა ურღვევობის უპირობო აღიარება და გადაჭრით დაგმეს აგრესიული სეპარატიზმის და ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინება.

მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ აუცილებელია აფხაზეთის კონფლიქტის გადაუდებელი სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარება. კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკურ ფორმას ალტერნატივა არ გააჩნია".

რუსეთის პრემიერმინისტრის აზრით, დოკუმენტები, რომლებსაც მოეწერა ხელი, თავად მეტყველებენ გაწეულ მუშაობაზე. „ამჟამად ჩვენი ურთიერთობები კარგად ვითარდება, — აღნიშნა მან, — ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ვიზიტი ახალ ძალას შთაბერავს ამ პროცესს". აქვე ვიქტორ ჩერნომირდინმა ქართველ ხალხს გადასცა პრეზიდენტ ბორის ელცინის მისალმება და აუწყა მისი დანაბარები: ჩვენ ერთად განვვლეთ ისტორიის დიდი მონაკვეთი და ის ურთულესი პრობლემები, რომლებიც ჩვენს ხალხს აწუხებს, ერთად უნდა გადავწყვიტოთ".

რაღა თქმა უნდა, კონფლიქტების შემდეგ ჟურნალისტებისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი აზერბაიჯანის ნავთობსადენის მარშრუტთან დაკავშირებული პრობლემები იყო. პრესკონფერენციაზე გამოჩნდა, რომ ამ საკითხზე გახსნილ საუბარს, ჯერჯერობით, ყველა ერიდება და უფრო მსუბუქ, იუმორით შეზავებულ პასუხს ამჯობინებენ.

ედუარდ შევარდნაძე: „ნავთობსადენის საკითხებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე ჩვენსა და რუსეთს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს".

ვიქტორ ჩერნომირდინი: „მე, როგორც გაზის მრეწველობის ყოფილი მუშაკი, სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს საკუთარი ნავთობი გააჩნია".

ედუარდ შევარდნაძე: „მეც ღრმად ვარ დარწმუნებული ამაში, მაგრამ ვერა და ვერ ვპოულობთ ამ ნავთობს".

ამ მოკლე დიალოგმა დარბაზში მხიარული ატმოსფერო შექმნა. ალბათ, შეკრებილთაგან ყველამ ნათლად დაინახა, რომ დიდ პოლიტიკაში მთავარია პრიორიტეტების სწორი განსაზღვრა და კოზირების ამორჩევაც ამის მიხედვით ხდება.

დასასრულ, ვიქტორ ჩერნომირდინმა კიდევ ერთხელ, დეკლარაციულად დაადასტურა რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია: რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ყველა საკითხი მხოლოდ ამ პრინციპის დაცვით გადაწყდება.

„ჩემი აზრით, საქართველოს მოსახლეობისთვის დღეს უმთავრესია ენერგორესურსების, საწვავის, ტრანსპორტისა და სურსათის პრობლემების მოგვარება. მათ გადაუჭრელად ძნელია წინსვლა. ეს არის ჩვენს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების მთავარი შინაარსი", — განაცხადა რუსეთის პრემიერმინისტრმა.

პრესკონფერენციის მსვლელობისას ერთადერთი შეკითხვა დაისვა ისეთი, რომელიც საქართველოს პრობლემებს უშუალოდ არ ეხებოდა — „ფრანს-პრესის" კორესპონდენტი დაინტერესდა, როგორ აფასებდა ვიქტორ ჩერნომირდინი ნატოს მიერ ბოსნიელ სერბთა პოზიციების დაბომბვას. ჩანს, ვიზიტის საქმიან და ინტენსიურ მდინარებაში იმდენად იყო ჩართული რუსეთის პრემიერმინისტრი, რომ მან არ ისურვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და ჟურნალისტს ღიმილით მიუგო, ამის შესახებ რაღა თბილისში მეკითხებით, მოსკოვში მკითხეთო.

დარბაზში, სტუმრებისა და ჟურნალისტების გარდა, მრავლად იყვნენ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართველი დეპუტატები. ისინი გაღიმებული სახეებით ტოვებდნენ პრესკონფერენციას, გაღიმებული, იმედიანი სახეებით...

ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში პოზიტიური ძვრების ჭეშმარიტი დადასტურება იყო. საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ ეს სტუმრობა კარგა ხნით ადრე უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაშინ ცნობილმა გარემოებებმა ხელი შეუშალა ამ ფაქტს. თუმცა, გაგრძელდა დიპლომატიური მუშაობა და დღეს უკვე შეიძლება საუბარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ახალ ეტაპზე, ახალ სიმაღლეზე. ნამდვილად არ იქნება სწორი, თუ ამ თანამშრომლობას დღეს ცალმხრივ ან ძალისმიერ დიქტატით ნაკარნახევს ვუწოდებთ, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კომპრომისების მასშტაბი მხარეთა შესაძლებლობებით განისაზღვრება და მაინც, ეს არ გახლავთ მთავარი, ამ ეტაპზე გადამწყვეტია ინტერესთა სწორი ბალანსირება დიდ მეზობელთან, ანუ სტრატეგიის ისე აგება, რომ რუსეთი სისხლხორცეულად იყოს დაინტერესებული ძლიერი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოსთან მეგობრული და საქმიანი კონტაქტებით. დღეს ასეთია რეალობა და ამასვე გვკარნახობს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. მცირერიცხოვანი და ნაკლებეფექტური სახელმწიფო, ანუ ქვეყანა, რომელიც რამდენადმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე, ამ ხვედრს ვერ ასცდება. მან აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში ძლიერთა ამა ქვეყნისათა ინტერესებს. ასეთია რეალობა, არჩევანის საბოლოო და პირუთვნელი მსაჯული კი მხოლოდ ისტორიაა.

**პაატა ვეშაპიძე**

## გახსოვდეს აფხაზეთი

# ომით ან უომრად

პირველი გვერდიდან

ლი, გზად მიწასმიუმბარებელი მიცვალებულები დატოვეს და უსახლკარონი, დამცირებულები, შეურაცხყოფილები აგერ უკვე ორი წელიწადია, ელიან მამა-პაპეულ მიწა-წყალზე დაბრუნებას.

ორი წელიწადია გრძელდება ე.წ. სამშვიდობო მოლაპარაკებები. ამ ხნის მანძილზე ქართველთა მხარე უპირველეს პირობად ლტოლვილთა დაბრუნებას აყენებს, აფხაზი სეპარატისტები და მათი დამქაშები კი, სტატუსის ცნების მანიპულირებით, იგნორირებას უკეთებენ ამ საკითხს. თუკი ამ მოლაპარაკებებში სერიოზული კომპრომისები იყო, ისინი ყოველთვის ქართული მხრიდან მომდინარეობდა. ბოლოსდაბოლოს, საქმე იქამდეც მივიდა, რომ ედუარდ შევარდნაძე გუდაუთაში ჩავიდა! ამას კრიტიკა, ლანძღვა და შეურაცხყოფაც მოჰყვა, მაგრამ ყველა ეს ნაბიჯი შორსგამიზნულად იყო გადადგმული. საქართველო უკვე ხაზგასმულად, დემონსტრაციულად აღიარებდა კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთ გზად პოლიტიკურ დიალოგს. სეპარატისტები ჩიხში ექცეოდნენ, მათ არც პოლიტიკური ნება და არც ალღო არ ჰყოფნიდათ სერიოზული დიპლომატიური მუშაობისთვის და უფროდაუფრო გამჭვირვალე ხდებოდა მათი ნილაბი.

დღეს როგორც რუსეთში, ისე მთელს მსოფლიოში, ყველა საღადმოაზროვნე ადამიანისთვის ნათელია, რომ არძინბა და მისი ხროვა ყველაზე უფრო შავბნელი რეაქციული ძალების მარიონეტები არიან. „გუდაუთელ პატრიოტთა" ქმედებას ახლა უკვე ერთადერთი კვალიფიკაცია ეძლევა — დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

სოხუმის დაცემიდან ორი წლის შემდეგ, 11 სექტემბერს ღამით, საკუთარ სახლში მოკლეს არძინბას მარჯვენა ხელი, სეპარატისტთა მთავარი იდეოლოგი იური ვორონოვი — პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი. ეს ის კაცია, ვინც აფხაზებს ანტიქართული ბაღდამით ჰკვებავდა და „მეცნიერულად" უმტკიცებდა, რომ აფხაზეთს ორგანული ისტორიული კავშირი აქვს რუსეთთან, ქართველები კი ოკუპანტები არიან. „იზვესტიისთვის" მიცემულ ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში ვორონოვი დიდ გაკვირვებას გამოთქვამდა რუსეთის ხელისუფლების პასიურობის გამო აფხაზეთის შეერთების საკითხში. მისი აზრით, ეს იქნებოდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და სულაც არ ნიშნავდა მოსკოვისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. მართლაც, „მაღალმეცნიერული" ლოგიკაა.

სოხუმის დაცემიდან ორი წლის თავზე, გუშინ, საქართველოს ეწვია რუსეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი, სოლიდური სამთავრობო დელეგაციის თანხლებით. რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტ ელცინის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოთქმულ თეზისებს თუ გავითვალისწინებთ, ამ ვიზიტით პრინციპულად გადაწყდება აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის საკითხები, განისაზღვრება რუსეთის სამშვიდობო ძალების შემდგომი ბედი, როლი და ფუნქცია. ეს, რეალურად, აფხაზეთის კრიზისის მოგვარებას ნიშნავს — ან ასე, ან ისე.

ორი წელიწადი ისტორიისთვის არაფერია, ადამიანის ცხოვრებაში კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს და მისი ბედი თუ ხვედრი მთლიანად შეცვალოს. დღეს ორი წლის ნაწამებ-ნაწვალები, მამა-პაპათა საფლავების ხილვას და მშობლიური კერის სითბოს დანატრებული, მოთმინების ფიალაავსებული სამასი ათასი ქართველი ელის საკუთარი ბედის გადაწყვეტას.

მართალია, ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი, მაგრამ ისიც ნათელია, აფხაზეთის პრობლემის გადაჭრამდე დიდი დრო აღარ არის დარჩენილი, დრო გამოაჩენს, ომით მოვახერხებთ თუ უომრად, მაგრამ უახლოეს ხანებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. 27 სექტემბერს სეპარატისტები დიდი ზარ-ზეიმით აპირებენ გამარჯვების ორი წლისთავის აღნიშვნას; თუ ამას მოახერხებენ, ის მაინც აუცილებლად უნდა შევძლოთ, რომ ეს სეპარატიზმის უკანასკნელი დღესასწაული იყოს საქართველოში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

**დანაშაული კაცობრიობის წინაშე — ეს ცნება XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ჩვენს პლანეტაზე ყველაზე დიდ ბოროტებასაც და ყველაზე დიდ სიკეთესაც ადამიანი ჩადის. აფხაზეთის ტრაგედია, სამწუხაროდ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულობათა ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლია. დოკუმენტური მასალა გვაიძულებს, წარმოდგენით მაინც გავიაროთ ის ჯოჯოხეთი, რომელიც ჩვენმა თანამოძმეებმა გადაიტანეს. ამ დანაშაულობებს გეოგრაფია არ გააჩნიათ, ისინი ერთნაირად შემზარავნი არიან სოხუმშიც და სარაევოშიც. ბოროტების ამ უკიდურეს გამოვლენასთან ბრძოლა დედამიწის ყველა მოქალაქის ღვიძლ საქმედ უნდა გადაიქცეს!**

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ.№161-162-163

დალი არზიანმა (ქ.გაგრა, ლენინის III შეს.ბ.15) აჩვენა, რომ დახვრიტეს ათასამდე ქართველი. გვამები 5 დღე ეყარა ქუჩაში, შემდეგ ორმოში ჩაფლეს. ყაჩაღობდნენ ძველ გაგრაში მცხოვრები სლავიკ ბარციცი, ხანდრო შამბა, კოკოსკირი, ხურგაია. ნაძარცვ ტანსაცმელს იქვე გვამის გახდისთანავე იცვამდნენ. ერთ, იქვე დაგდებულ ტანსაცმელს ეწერა „მაგამაევი“, იგივე „აკაკი არისტავა“.

**ტ.18.ს.ფ.24-25**

ალექსანდრე რუსიამ (გაგრა, ჩამბას 27) აჩვენა, რომ 1992 წლის 2 ოქტომბერს შეიარაღებულმა აფხაზებმა დაიჭირეს, გადაუწვეს სახლ-კარი და აუფეთქეს მანქანა.

**ტ.18.ს.ფ.33**

ნიკოლოზ ჯანაშიამ (ქ.გაგრა, წერეთლის 59, ბ.4) აჩვენა, რომ 1992 წლის 18 სექტემბერს აფხაზებმა პიკეტზე დაჭრეს, იწვა სახლში. იცოდნენ რა, რომ თანამშრომელი იყო, მიაკითხა შვიდმა შეიარაღებულმა აფხაზმა, რომლებსაც სურდათ მისი წაყვანა. მისმა მეუღლემ მათ 200 ათასი მანეთი მისცა და შეეშვნენ, თუმცა, წაართვეს სატაბელო „მაკაროვი“ (№5223). მისი მეზობლის, ვ.შ.-ს სახლში შევიდა სამი შეიარაღებული აფხაზი, წაართვეს „მოსკვიჩი“, შემდეგ ვ.შ. და მისი ძმა მოკლეს, მისი ცოლი გააუპატიურეს, რომელიც ჭკუიდან შეიშალა (გვარებს არ ვასახელებთ. რედ.). 3 ოქტომბერს აფხაზებმა დახვრიტეს ჩხეტიების 6-სულიანი ოჯახი, მათ შორის, ორი მცირეწლოვანი — ქართველობის გამო. ქართველების სახლკარს ცეცხლს აძლევდნენ გაძარცვის შემდეგ. დაწვეს მისი სიმამრის, თენგიზ ვასილის ძე აფრასიძის სახლიც, ასევე, ზურა შურღაიას, მიშა ფიფიას სახლები. შს იმ განყოფილებიდან, რომელშიც თავად მუშაობდა, მოკლეს იური ძიძიგური, სლავიკ გოგოხია, ზურაბ კაჭარავა. სოჭისკენ რომ გაეტარებინათ, აფხაზებმა გამოართვეს ხელზე 100 ათასი მანეთი, ასევე, „მერსედესის“ მარკის მანქანა. სახლებს წინასწარ აწერდნენ, თუ რომელ აფხაზს ან ჩეჩენს უნდა ეცხოვრა შიგ. ისინი, ვინც მონაწილეობას იღებდნენ გაგრის აღებაში და მოსახლეობის გენოციდში, იყვნენ გუდაუთის სოფლებიდან, იცნობს თითოეულ მათგანს სახეზე ამოცნობით.

გარდა აღნიშნულისა, მან დაკარგა სახლი, 9 სული ძროხა, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება.

**ტ.18.ს.ფ.34-38**

ზურაბ ცეცხლაძემ (ქ.გაგრა, საიათნოვას 22) აჩვენა, რომ 5 ოქტომბერს ოჯახის წევრებით გადავიდა ადლერში. აფხაზებმა და ჩეჩნებმა ბიძაშვილი მოუკლეს. მოკლეს იური ძიძიგურიც.

მისი სახლ-კარი გაძარცვეს და გადაწვეს.

**ტ.18.ს.ფ.40-41**

თინათინ გაგოშიძემ (დ.ბიჭვინთა) აჩვენა, რომ 15 აგვისტოს დაიწყო სისხლისღვრა, აფხაზებმა მოკლეს და დაწვეს საზოგადოება „ლემის“ წევრი სოზარ ჩარქსელიანი. თვითონ მისი (გაგოშიძის) მამა ტყვედ აიყვანეს, ამუშავებდნენ იძულებით სამუშაოებზე. ის და მისი მცირეწლოვანი და თბილისში გამოიქცნენ. მათი უძრავ-მოძრავი ქონება ბიჭვინთაში დარჩა.

**ტ.18.ს.ფ.42-43**

რობო ლაშხიამ აჩვენა, რომ 14 აგვისტოდან პურს ყიდდნენ მხოლოდ არაქართველ მოსახლეობაზე. მის ოჯახს წაართვეს „გაზ-24“ მარკის მანქანა. აფხაზებმა მის ძმას მოსთხოვეს, ებრძოლა ქართველების წინააღმდეგ. ის გაიქცა. არის თუ არა ცოცხალი, არ იცის. მისი უმცროსი და და ნათესავი გამოიქცნენ გაგრიდან. მშობლები იქ დარჩნენ. რა მდგომარეობაში არიან ისინი, მისი ქალიშვილი და ვაჟიშვილი, არ იცის.



ბოსნია — 1993 წლის 22 ივნისი. ათი წლის ბავშვი მირცა მანჯაჩი 6 თვის განმავლობაში ბებიასთან ერთად ცხოვრობდა სარაევოს ძველ უბანში ნახევრად დანგრეულ თავშესაფარში. რამდენიმე თვის წინ იგი ყუმბარის ნამსხვრევით მუცელში დაიჭრა.

**ტ.18.ს.ფ.46-57**

ლეილა ქაროსანიამ (ქ.გაგრა, ოქტომბრის 13, ბ.6) აჩვენა, რომ 1992 წლის 3 ოქტომბერს გაგრაში აფხაზებმა მოუკლეს ქმარი, ბორის ფილიპეს ძე კუცია. მასთან ერთად დახვრიტეს მისი ქალიშვილი, ექიმი ცისანა ბარამია, აგრეთვე, მეორე ექიმი შალვა გვაზავა. ამ დროს თვითონ თბილისში იყო, დაურეკა მეზობელმა და გააფრთხილა, გაგრაში არ დაბრუნებულიყო, ვინაიდან ეს საშიში იყო.

**ტ.18.ს.ფ.52-53**

ლალი მახარაშვილმა (ქ.გაგრა, რუსთაველის 56) აჩვენა, რომ იყო გაგრის საავადმყოფოს ექთანი. აფხაზებმა საავადმყოფოში შემოგზავნეს შუაზე ხერხით გადახერხილი ქართველის გვამი წარწერით რუსულ ენაზე: „როგორც ამ გოგოს ვერ გააერთიანებთ, ასე ვერ გააერთიანებთ საქართველოს და აფხაზეთს“. 2 თუ 3 ოქტომბერს საავადმყოფოს ესროლეს ყუმბარა და კედელი გაანგრიეს. გაგრის დაცემის შემდეგ კლავდნენ და წვავდნენ ქართველების გვამებს. ბევრი იყო გაუპატიურების ფაქტი.

**ტ.18.ს.ფ.54-55**

ლენა ხირაძემ (ქ.გაგრა, ვაჟა-ფშაველას 125) აჩვენა, რომ 2 ოქტომბრის დაბომბვის შედეგად დაიღუპა გივი ნოდია. მას დაბომბვისას სახლი დაენგრა. იმალებოდა სომხების ოჯახში. იქ მოიყვანეს მ.ქ., 20-მდე ჩეჩნის მიერ გაუპატიურებული, ასევე, მეორე გოგონა. მას, პირადად, ძმა, ნოდარ ჩარკვიანი, დაუხვრიტეს აფხაზებმა. პირადად ნახა, თუ როგორ ამოწყვიტეს შონიების მთელი ოჯახი.

**ტ.18.ს.ფ.56-57**

ბუზუცი ონიანმა (ქ.გაგრა, ჩამბას 32) აჩვენა, რომ 2 ოქტომბერს სახლი დაუწვეს, მისი მეზობელი რუხაია აფხაზებმა და ჩეჩნებმა დახვრიტეს.

**ტ.18.ს.ფ.58**

ზაურ მაისურაძემ (გაგრა, ლიძავა) აჩვენა, რომ არძინბა ბოლო წლებში ტელევიზიით მოუწოდებდა გამოყოფისა და რუსეთთან შეერთებისკენ. აფხაზები და სომხები იარაღდებოდნენ. 5 ოქტომბერს ლიძავაში დახვრიტეს ცოლ-ქმარი მიტუშა და ლალანა ბენდიაშვილები, გადაწვეს მათი სახლ-კარი, მოკლეს და-ძმა თენგიზ და მზია ბენდიაშვილები. წაიყვანეს და ადგილსამყოფელი უცნობია პეტრე და ციალა რაზმაძეების, თემურ იაშვილის. თვითონ მოწმეს სახლი გაუძარცვეს, როცა სოჭისკენ გარბოდა, ლესელიძესთან მის თვალწინ 2 მისთვის უცნობი ლტოლვილი დახვრიტეს.

**ტ.18.ს.ფ.60-61**

თამაზ ჯაფარიძემ (ქ.გაგრა,წერეთლის 53/5,ბ.12) აჩვენა, რომ 2 ოქტომბერს და შემდეგ აფხაზმა სეპარატისტებმა მოკლეს: ჯვებე კუჭუხიძე, დათო ჯგერენაია, თემურ ხუნწარია (მილიციის მუშაკი). თითოეულ მათგანს, ასევე, ცოცხლად გადარჩენილებს, სახლ-კარი გადაუწვეს. თვითონ დახვრეტას გადაურჩა. საავადმყოფოში მასთან მომუშავე ექიმს გია გეგეჭკორს სახლი დაუწვეს, თვითონ გუდაუთაში წაიყვანეს. 4 დღის შემდეგ უკან გაგრაში დააბრუნეს ქართველთა გვამების ასაკრეფად, რომლებმაც ოთხი „კამაზი“შეადგინა, დაახლოებით 250 კაცი. ისინი დიდ ორმოში ჩაფლეს. ქართველ მძევლებს იძულებით ამუშავებდნენ სხვადასხვა სამუშაოზე.

**ტ.18.ს.ფ.62-63**

ანჟელა რუხაძე-გოგუამ (ლესელიძე, ტყის ქუჩა 5) აჩვენა, რომ 6 ოქტომბერს აიღეს ლესელიძე. იმ დღეს მის ქუჩაზე 22 სახლი დაწვეს, მოკლეს თავიანთ ეზოებში: ბორის ჯღარკავა, იაშა კუხალაშვილი, პართე გოგალაძე (85 წლის, თავი მოაჭრეს), ვაჟა გერმავა. გადაწვეს მოწმის სახლი, იგი გაიქცა. კრასნოდარში სომხებმა წაართვეს ავტომანქანა.

**ტ.18.ს.ფ.64-65**

ოლია ჯოჯუამ (გაგრის მეურნეობა „სიხარული“) აჩვენა, რომ 2 ოქტომბერს, როცა გაგრაში კაზაკები და აფხაზები შემოვიდნენ, მისი ორი ძმისშვილი მერაბ და თენგიზ ჩხეტიები, მამა ნიკოლოზ ჩხეტია, რძალი ლენა ჩხეტია, რომლებიც გაქცევით შველოდნენ თავს, მანქანაში ჩახოცეს. გადარჩა რძალი, თავში დაჭრილი.ძმა, დათო ჩხეტია, სადგურთან მოკლული იპოვეს. ლესელიძესთან დახვრიტეს იაშა გოლეთიანი და ომარ წარია.

**ტ.18.ს.ფ.72-73**

იაკობ ხუფენიამ (ქ.გაგრა, წერეთლის 59/1, ბ.23) აჩვენა, რომ 3 ოქტომბერს მოკლეს კურორტთა სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ილარიონის ძე ბარამია. შემდეგ ყელი გამოჭრეს მის ცოლს, ნათელა ბარამია-ნადარეიშვილს. სახლში მყოფი ბორის კუცია, შალვა გვაზავა და ორი სტუმარი ქალი იქვე ჩახოცეს. თვითონ მოწმის ოჯახი არაერთხელ გაძარცვეს, ამასთან, წაართვეს სამი ავტომანქანა. მისი ნაცნობებიდან დახვრიტეს ჯუმბერ აბსანძე, მისი სამსახურებრივი მანქანის მძღოლი ალიკა მებონია და კიდევ 10 ქართველი ცოცხლად დამარხეს, ხოლო ორმოში ჩაყარეს 270-მდე ქართველის გვამი.

**ტ.18.ს.ფ.74-75**

დემურ ბუზუნავამ (ბიჭვინთა, აგრბას 2, ბ.49) აჩვენა, რომ მან საკუთარი თვალით იხილა თავიანთ გარაჟებში მოკლული გივი კიკნაძის და დათო მამასახლისის გვამები. თვითონ (მოწმე) აწამეს, დააყაჩაღეს, არაფერი არ დაუტოვეს, შემდეგ აიძულეს, აფხაზეთიდან ამოწერილიყო.

**ტ.18.ს.ფ.76-77**

ნაირა რატიანმა (ბიჭვინთა, ლაკობას 16, ბინა 36) აჩვენა, რომ თვითონ სახლიდან გააპარეს, მისი მეუღლე კი სახლში დაეხვრიტათ, ეწამებინათ და ყურები დაეჭრათ. დაასაფლავა მეზობელმა, აფხაზმა, ალიაბრიკმა.

... მანამდე ნახევარი მილიონი მანეთი მოსთხოვეს მის მეუღლეს ერთმა აფხაზმა (გუმბამ) და ჩეჩენმა. რომ ვერ მისცა, სასტიკად ცემეს.

**ტ.18.ს.ფ.78-79**

რომან გალდავამ (ქ.გაგრა, ჩამბას ქ.№8) აჩვენა, რომ ქუჩაში 2 ოქტომბერს მოკლეს მისი სიმამრი ნიკოლოზ ჩხეტია, ცოლისძმა დავით ჩხეტია, მისი ორი შვილი მერაბი და თენგიზი. რამდენიმე ნათესავი დაეჭრა. ერთი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მის სიდედრს მოკლული შვილი დასამარხად არ მისცეს.

**ტ.18.ს.ფ.88-89**

ჯურხან ხარაიშვილმა (დ.ლესელიძე) აჩვენა, რომ დაუწვეს სახლ-კარი, დაუკლეს ან დაიკარგა პირუტყვი. ლესელიძეში მხოლოდ რამდენიმე ქართველის სახლი თუ გადაურჩა დაწვას. პირადად მ.[illegible], ავტომანქანის ჩათვლით, განიცადა 20 მილიონამდე მანეთის ზარალი.

**ტ.18.ს.ფ.90-91**

ლალი ბენიძემ (ქ.გაგრა, წერეთლის 55/4, ბ.36) აჩვენა, რომ მათი სახლიდან გაიყვანეს 4 ავტომანქანა, მთლიანად გაუძარცვეს სახლი. მამა, ვლადიმერ ბენიძე, ცემით მოუკლეს. ასევე, ააფეთქეს მის მისაშველებლად მანქანით წასული სიძე მურთაზ ჩხიკვაძე. მეუღლე ბორის [illegible]შვილი ცოცხალია თუ მკვდარი, არ იცის.

**ტ.18.ს.ფ.82**

ნელი ნიჟარაძემ (ქ.გაგრა, ლაკობას 10, ბინა 39) აჩვენა, რომ ჯერ ადგილზე გაძარცვეს, შემდეგ, საზღვარზე გადასვლისას, სომხებმა წაართვეს „გაზ-24“ მარკის ავტომანქანა. მისი ზარალი რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენს.

**ტ.18.ს.ფ.53-94**

სიდამონ გასვიანმა (გაგრა, იუნარი, ლაკობას :14, ბ.23) აჩვენა, რომ გადაუწვეს სახლ-კარი. დაატყვევეს და გადაცვალეს აფხაზებში. ყველაფერთან ერთად, მას, ასევე, მის ძმებსა და ბიძაშვილებს, წაართვეს ავტომანქანები, მისი ბიძაშვილები ჯონი, ჯემალ და ჯეირან გასვიანები ღამით წაიყვანეს აფხაზებმა, რომელთა ადგილსამყოფელი დაკითხვის დროს მისთვის უცნობი იყო. საგანგებოდ დასდევდნენ გასვიანებს (ეტყობა, აკაკი გასვიანის გამო).

**ტ.18.ს.ფ.96-97**

ალმოჩენა

# სიძველეთა ნაკვალევზე

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში პროფესორი გურამ შარაძე იმყოფებოდა სტამბულში. ვიზიტის მიზანთან დაკავშირებით იგი ესაუბრა ჩვენს კორესპონდენტს:**

„ბატონ ასლან აბაშიძესთან შემუშავებული გეგმის თანახმად უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს გეგმაზომიერი მუშაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და, სახელდობრ, აჭარის მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. დამტკიცებულია ავტორთა სამეცნიერო კოლექტივი. ახლა პირველ რიგში საჭიროა ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები, ახალი მეცნიერული წყაროებისა და საარქივო მასალების გამომზეურება, რისთვისაც ბატონმა ასლან აბაშიძემ გამოყო სათანადო ფინანსური სახსრები. ამ მიმართულებით უკვე დაიწყო გონიოს არქეოლოგიური გათხრები, ხოლო სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის არქივისა და წიგნთსაცავის მეცნიერულ შესწავლას კი, აგერ უკვე 4 წელზე მეტია, ვეწევით პროფესორ შუშანა ფუტკარაძესთან ერთად. ერთ-ერთი ექსპედიციის დროს კატალოგის შედგენაში მონაწილეობდა ქალბატონი გულიკო შერვაშიძე.

სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში აღმოჩენილ სიძველეთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სულხან-საბა ორბელიანის „ევროპაში მოგზაურობის" უცნობი ნუსხის მიხედვით ამ საუკუნის 30-იან წლებში სტამბულის ქართულ სტამბაში წამოწყებული ამ შესანიშნავი ძეგლის ბეჭდვა, რომელსაც თან ერთვის შალვა ვარდიძის შესანიშნავი კომენტარები. ეს ნუსხა, აკადემიკოსების ალექსანდრე ბარამიძისა და ხერგი ჭიქიას სიტყვებით, დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. ახლა იგი უკვე ჩვენს ხელთაა.

ამას გარდა, ყურადღებას იპყრობს აქ დაცული არა ერთი და ორი კათოლიკური სასულიერო ლიტერატურის ძეგლთა (იტალიური და ლათინური ენებიდან შესრულებული) ძველი ქართული თარგმანები, რომელთა მსგავსი საქართველოს არქივებსა და ხელნაწერთა საცავებში არ მოიძებნება. მონასტერი კათოლიკურია და ამიტომაც ბევრია აქ XVII-XIX საუკუნეებში ევროპაში დაბეჭდილი ძველი ქართული კათოლიკური შინაარსის და ხასიათის წიგნები, მათ შორის, რომში, კონსტანტინოპოლში, მონთობანსა და ვენეციაში გამოცემული ქართული წიგნები.

1909 წლის აპრილში სტამბულის ქართველთა საზოგადოებას გადაუხდია დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღი. მონასტერში აღმოჩნდა ახალი საარქივო მასალები დიდებული მგოსნის შესახებ.

როგორც ვიცით, 20-იან წლებში, როდესაც ქართული ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ბოლშევიკური საქართველო და წასულიყო ემიგრაციაში პოლიტიკური თავშესაფრის საძიებლად, სტამბულის ქართველთა მონასტერი წარმოადგენდა მათ პირველ ნავთსაყუდელს. ამიტომაც ბუნებრივია, რომ აქ აღმოჩნდა ქართული ემიგრაციის შესანიშნავი მასალები, მათ შორის, ქართული ემიგრანტული მწერლობის, ჟურნალისტიკისა და პოლიტიკის ამსახველი ძეგლები.

ცალკე საუბრის თემაა მონასტრის უმდიდრესი ევროპულენოვანი ბიბლიოთეკა. უნიკალური ენციკლოპედიები, ქრისტიანულ ძეგლთა გამოცემების სერიები, ფერწერისა და ანტიკვარიის ნიმუშები, რომლებიც აქ მოღვაწე ქართველ ბერებს შეუქმნიათ ან შეუძენიათ და დაუტოვებიათ ქართველი ერის სადიდებლად.

საგანგებო ხაზგასმის ღირსია ის გარემოებაც, რომ მონასტრის ბიბლიოთეკაში ბევრია ჩვენს დროში თბილისში გამოცემული ქართველ მწერალთა და მეცნიერთა წიგნები, რომლებითაც მონასტრის ქართველ ბერებს თავის დროზე ამარაგებდა აწ განსვენებული ბატონი ოთარ გიგინეიშვილი.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მსურს აღვნიშნო სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მეთვალყურე ბატონი სვიმონ ზაზაძე, რომლის თავაზიანი დახმარებისა და ნებართვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მონასტრის არქივში შეღწევა".

# დემოკრატიული პროგრამა ტასისი ქართველ ჟურნალისტებს გადარჩენას გვპირდება

ახლახან საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და ტელე-რადიო კომპანიამ ბრიუსელში პროგრამა ტასისის და ევროპარლამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მიიღო თანხმობა, რომ მათ მიერ წარდგენილ პროექტებს ევროკავშირის დემოკრატიული პროგრამა ტასისი დააფინანსებს. თუმცა, შეთანხმება, ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერადაა მიღწეული, გაჩნდა იმედი, რომ დაფინანსების შემთხვევაში, სადღეისოდ უსახსროდ დარჩენილი ჟურნალისტთა ფედერაცია, ნაწილობრივ მაინც, მოაგვარებს ქართველ ჟურნალისტთა პრობლემებს, პირველ რიგში, შექმნის ჟურნალისტთა უსაფრთხოების სისტემას, გაიზრდება ინფორმაციის გაცვლის მასშტაბები, რაც საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონში დემოკრატიული პროცესების დაჩქარებას შეუწყობს ხელს. მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოში ამიერკავკასიის ჟურნალისტთა ცენტრის ჩამოყალიბებაზე, სამომავლოდ კი გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ჟურნალისტთა ცენტრის ტრანსფორმირება ჟურნალისტთა კონფედერაციად. ამ იდეას მხარი დაუჭირა დემოკრატიულმა პროგრამა ტასისმა.

მსოფლიო გამოცდილებამ ცხადყო, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაში უდიდეს როლს, სახელმწიფოს ინიციატივის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებენ.

ევროკავშირმა დსთ-ს ქვეყნებში სტრატეგიული პროექტების დასაფინანსებლად 2,5 მილიარდი ეკიუ გამოყო.

სადღეისოდ საქართველოში დამფინანსებელთა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს: ევროკავშირის დემოკრატიული პროგრამა ფარე და ტასისი, სოროსის ფონდი, ევრაზია, სულ მალე ფუნქციონირებას დაიწყებს ამერიკული ფონდი.

1992 წელს, ევროპის კომისიის ინიციატივით და ევროპარლამენტის სრული მხარდაჭერით შეიქმნა ევროკავშირის დემოკრატიული პროგრამა ტასისი. პროგრამის მიზანია აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში, აგრეთვე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, დემოკრატიული, პლურალური, სამართლებრივი სახელმწიფოების შექმნა. ტასისი აფინანსებს გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში სტრატეგიული მნიშვნელობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროექტებს, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკად ტრანსფორმირებას და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, 14 სექტემბერს, ევროკავშირის დემოკრატიული პროგარამა ტასისის მენეჯერმა ლუი დეიმ ჟურნალისტთა ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას ესწრებოდა ევროკავშირის დელეგაციის წევრი ქეით უაითი.

პირველ ყოვლისა, პროგრამის მენეჯერმა უარყო მოსაზრება, თითქოს საქართველოსთვის ევროკავშირმა, დსთ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ნაკლები სუბსიდიები გამოყო. ამჟამად საქართველოში უკვე შვიდი დაფინანსებული პროგრამა მოქმედებს, წლის ბოლოსთვის კიდევ სამი პროექტის დაფინანსება დაიწყება.

ლუი დეიმ მოკლედ მიმოიხილა პროგრამა ტასისის შექმნის და დაარსების ისტორია, ისაუბრა პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე. „ჩვენ ვაფინანსებთ იმ არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაციების პროექტებს, რომლებსაც ძალუძთ წვლილი შეიტანონ ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის დაჩქარებაში. ტასისის მიზანია, ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, კანონიერების დამკვიდრებას, ეკონომიკურ თავისუფლებას, საპარლამენტო მუშაობას, საპარლამენტო ბლოკების შექმნის მიზნით. პროგრამა, აგრეთვე, ითვალისწინებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეფექტურობის გაზრდას",- განაცხადა პროგრამა ტასისის მენეჯერმა.

ტასისის სამოქმედო პროგრამით არაა გათვალისწინებული კერძო, კომერციული გაზეთების ან ტელეკომპანიების პროექტების დაფინანსება, ერთი სიტყვით, იმ გაზეთებზე სუბსიდიების გაცემა, რომლებიც რეალიზაციის პირობებში მოგებას იძლევიან. თუმცა, დღევანდელი ძვირადღირებული ქაღალდის და მაღალი სასტამბო ხარჯების პირობებში, ძნელად თუ ვინმე იტყვის, რომელიმე კერძო გაზეთის მომგებიანობაზე. ტასისის პროგრამის თანახმად, კომერციული გაზეთების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, შექმნან ჟურნალისტთა არაკომერციული ორგანიზაცია, ევროკავშირში წარადგინონ პროექტი, რომელიც მიზანმიმართული იქნება ჟურნალისტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, უსაფრთხოების გარანტიებზე. პროგრამის დაფინანსების 80 პროცენტს ტასისი კისრულობს, დანარჩენი 20 პროცენტი თავად ორგანიზაციამ საშემოსავლო ხარჯებით უნდა დაფაროს. პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ ორმა პარტნიორმა. პარტნიორების შერჩევაში ფარე და ტასისი რეკომენდაციებს არ იძლევა. პროექტის შერჩევის შემთხვევაში დემოკრატიული პროგრამა ტასისი სუბსიდიებს გამოყოფს. პროექტის მოქმედება ერთი წლის ვადითაა განსაზღვრული.

დემოკრატიული პროგრამა ფარე და ტასისი პროექტების კონკურსს ორ ეტაპად ჩაატარებს: პროგრამების შერჩევის ბოლო ვადებია მიმდინარე წლის 31 ოქტომბერი და 1996 წლის 30 აპრილი.

ლუი დეიმ უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

**დიანა ბაბროშვილი**

ფაქტები და მოვლენები

## ჟელევი: ყველამ თავისას მოუაროს!!!

ბულგარეთის სააგენტო „ბტა" იტყობინება: რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის მიერ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ნათქვამთან დაკავშირებით, რომ რუსეთი ნატოს არ მისცემს აღმოსავლეთით გაფართოების უფლებას, ბულგარეთის სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური წარმომადგენელი შემდეგი განცხადებით გამოვიდა:

პრეზიდენტი ჟელიო ჟელევი აცხადებს, რომ ბულგარეთი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საგარეო პოლიტიკას, მისივე ინტერესების შესაბამისად და სხვას არავის მისცემს უფლებას, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, მის ნაცვლად გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის უშიშროებასთან და სუვერენიტეტთან.

ჩვენთვის რუსეთი არ წარმოადგენს რაღაც ერთმნიშვნელოვანს. იქ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები მოქმედებენ — უკიდურესი მემარცხენეებიდან — უკიდურესი მემარჯვენეების ჩათვლით. ბულგარეთი უჭერდა და მომავალშიც დაუჭერს მხარს იმ გარდაქმნებს რუსეთში, რომლებიც მას გადააქცევს თანამედროვე, დემოკრატიულ ქვეყნად.

## ბალკანეთის კრიზისი, ანუ ელცინი ზონს მოდის

რადიო „თავისუფლების" ცნობით, ნატომ და გაერომ გარკვეული ხნით მორატორიუმი გამოაცხადა ბოსნია-ჰერცეგოვინაში და განაცხადა, რომ დროებით წყვეტს საბრძოლო მოქმედებებს სერბთა წინააღმდეგ. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს გასტანს ცეცხლის შეწყვეტა. აგრეთვე, არავინ იცის ამ დადებითი მოვლენის, თუ სხვა რამე მიზეზის გამო, მაგრამ ფაქტია, რომ სოჭში მოკლევადიანი შვებულებით მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, კატეგორიული უარი განაცხადა დუმის რეაქციონერ დეპუტატთა ზეწოლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებაზე. შეგახსენებთ, რომ საქმე რუსეთის მხრიდან ყოფილი იუგოსლავიის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ცალმხრივი წესით გაუქმებას ეხება.

## „ხულიგანი" იაკუნინი და „დედიკოს ბიჭი" ჟირინოვსკი

ამ ერთი კვირის წინ, რუსეთის პარლამენტში ატეხილი მუშტი-კრივი მსოფლიოს მილიარდობით ტელემაყურებელმა და მათ შორის — ჩვენც, საკუთარი თვალებით ვიხილეთ. „დავტკბით" ჟირინოვსკის „რაინდული" ორთაბრძოლით ერთ-ერთ ქალბატონთან, შევიტყვეთ, თუ როგორ ჩამოგლიჯეს ანაფორიდან ჯვარი დეპუტატ-მღვდელს, ცნობილ სამართალდამცველსა და ყოფილ საბჭოელ დისიდენტ გლებ იაკუნინს. ხოლო, როგორც რადიო „სვობოდა" გვაუწყებს, ამ ინციდენტის გამო მოსკოვის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა... დაზარალებული იაკუნინის წინააღმდეგ, ბოროტი ხულიგნობის ბრალდებით, ჟირინოვსკი კი ჯერჯერობით ხელშეუხებელია.

## იცხაკ რაბინი: „ამერიკამ ვერაფერი გააწყო და მე ვის რას შევასმენდი"

როგორც ადრე გაუწყეთ, ისრაელის პრემიერმინისტრი იცხაკ რაბინი უკრაინიდან ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ჩავიდა, სადაც შეხვედრები ჰქონდა რუსეთის პრემიერ ვიქტორ ჩერნომირდინთან, აგრეთვე, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებთან პაველ გრაჩოვთან და ანდრეი კოზირევთან. ვიზიტის მიზანი გახლდათ რუსეთის ხელისუფლების გადარწმუნება ირანისთვის ატომური რეაქტორების მიყიდვის საქმეში, რომელსაც, აგერ თითქმის წელიწადია, ამაოდ ესწრაფვის აშშ. ჩერნომირდინთან სამსაათიანი საუბრის შემდგომ დაღონებულმა რაბინმა ჟურნალისტებს განუცხადა, — რუსებს ამერიკამ ვერაფერი შეასმინა და მე რაღას გავხდებოდით.

## ხიდი სუეცზე, ანუ მურაიამას პერსპექტივები

იაპონიის პრემიერმინისტრი მურაიამა ერთკვირიან ოფიციალურ ტურნეს ატარებს ახლო აღმოსავლეთში. ამ დღეებში იგი კაიროში შეხვდა და ესაუბრა ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს. გაფორმდა ეკონომიკური თანამშრომლობის რიგი ხელშეკრულებანი, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სუეცის არხზე ხიდის მშენებლობა, რომელსაც იაპონია კისრულობს. მოგვიანებით მურაიამა შეხვდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის (პგო) ლიდერს იასირ არაფატს. იაპონიის პრემიერი შეპირდა მას, რომ წლის ბოლომდე „პგო" მთლიანად მიიღებს იმ 200 მილიონ დოლარს, რომელიც იაპონიამ აღნიშნულ ორგანიზაციას გამოუყო. აღსანიშნავია, რომ ამ თანხიდან 150 მილიონი დოლარი უკვე ჩაირიცხა პალესტინელთა ანგარიშზე.

## შვიდბალიანი მიწისძვრა მეხიკოში

„თავისუფლების" ცნობით, 14 სექტემბერს მექსიკის დედაქალაქში მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომელიც ოც წუთს გრძელდებოდა. რიხტერის შკალით მიწისძვრამ 7,2 ბალი შეადგინა. დაინგრა და დაზიანდა შენობა- ნაგებობები. ქალაქში მრავალ ადგილზე იფეთქა ხანძარმა. ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობის შესახებ ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სიმძლავრის მიწისძვრა მეხიკოში ამ ათი წლის წინათ მოხდა, მაშინ დაღუპულთა რაოდენობამ ათას ადამიანს მიაღწია.

## ს.კრილოვი: რუსეთი სამხედრო ზომებსაც მიმართავს

ნატოს გეგმება, აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ, ეწინააღმდეგება არა მხოლოდ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს, არამედ მას ძალუძს ნეგატიური გავლენა მოახდინოს სიტუაციაზე მთელს ევროპაში, — განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკრილოვმა, რომელიც დანიაში იმყოფება და მონაწილეობს ბალტიის ზღვის რეგიონში თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების სურვილს, ნატოში გაწევრიანების თაობაზე, სკრილოვმა შემდეგი კომენტარი გაუკეთა: „მოსკოვი ყველა შესაძლო ღონისძიებას იხმარს მის მიმართ ნეგატიური შედეგების გამოვლინების სანეიტრალიზაციოდ, თუკი ნატოს გაფართოება ჩვენს უსაფრთხოებას დაემუქრება. რუსეთი გამოიყენებს არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების ბერკეტებს ამ სახელმწიფოთა მიმართ, არამედ იძულებული გახდება, მიიღოს სამხედრო ხასიათის ზომებიც.

საკმარისია ჩვენს საზღვრებთან შევნიშნოთ ნებისმიერი სამხედრო დაჯგუფების გაძლიერება, რომ შესაბამისად გავზრდით საკუთარ პოტენციალსაც". — აღნიშნა სკრილოვმა

* * *

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ.ბარტოშევსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „შეშფოთებით აღიქვა ბორის ელცინის „ცივი ომის" სულისკვეთებით გამსჭვალული სიტყვები ნატოს გაფართოებისა და ბოსნიის კონფლიქტის შესახებ. მინისტრმა აღნიშნა, რომ პოლონეთი კმაყოფილებით შეხვდა რუსეთის ინტეგრაციას პროგრამასთან „პარტნიორობა მშვიდობისთვის" და იმ ფაქტსაც, რომ რუსეთმა პოლიტიკური დიალოგი გამართა ნატოსთან. ვ.ბარტოშევსკის აზრით, რუსეთმა „უნდა შეამჩნიოს ის დადებითი მხარე, რომელიც სახელმწიფოთა ალიანსის კონსტრუქციული თანამშრომლობიდან გამომდინარეობს".

## ბილ ქლინთონი: გენოციდს არ დავუშვებთ

აშშ-ს პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლება არაობიექტურად ეკიდება ბალკანეთის კრიზისს. ჯერ ერთი, ნატო სამხედრო ოპერაციებს გაეროს სანქციით აწარმოებს, — თქვა მან — მეორეც, ბოსნიელ სერბთა პოზიციები დაიბომბა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მათი მხრიდან აშკარა პროვოკაციებს ჰქონდა ადგილი, კერძოდ, სარაევოსადმი ცეცხლის დაშენას, რომელსაც შედეგად უდანაშაულო ხალხის მსხვერპლი მოჰყვა. რაც შეეხება ნატოს თვითმფრინავების პილოტებს, ისინი თავის საქმის პროფესიონალები არიან და დასაბომბი ობიექტები არასოდეს აერევათ ჩვეულებრივ დასახლებულ პუნქტებში. შეერთებული შტატები მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის წინააღმდეგ ილაშქრებს „უსაფრთხოების ზონაში". ჩვენ არ ძალგვიძს და ვერც შევურიგდებით გენოციდს, — განაცხადა ბილ ქლინთონმა.

## ა.რომანოვი: ჩეჩენთა განიარაღება, ფაქტობრივად, ფიქციაა

ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების სარდალმა არომანოვმა, გაეცნო რა ამასხადოვის მიერ წარმოდგენილ ე.წ. ბოევიკთა დისლოკაციის ადგილის ოპერატიულ რუკას, განაცხადა, რომ დუდაეველთა განიარაღება ფიქციაა. რუკის მიხედვით, ბოევიკებს შეიარაღებაში გააჩნიათ 2021 — კალაშნიკოვის ავტომატი, 79-კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევი, 16-ავტომატური ყუმბარსატყორცნი სადგური, 2-ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების მართვადი დანადგარი, 5-"გრადის" დანადგარი, 2-ტანკი-ტ-72, 1-საზენიტო მართვადი ჭურვების დანადგარი, 4-ნაღმსატყორცნი, 8-დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანა.

ამ მონაცემების კომენტირებისას არომანოვმა განაცხადა, რომ მათ სიმართლესთან არაფერი აქვთ საერთო და ამასხადოვთან საუბარში აღნიშნა, რომ ბოევიკებს იარაღის ის რაოდენობაც კი არ ჩაუბარებიათ, რომელიც ოპერატიულ რუკაზეა მონიშნული. რუსეთის ჯარების გაყვანის გრაფიკი იმიტომ არ არის დამტკიცებული, რომ მას დუდაევის მომხრეთა განიარაღების რეალური ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად.

კავკასიონი

# ... ხალთაში შუბის პატრონსა ნუმც გაუთენდეს დარია!

**(იმპროვიზაცია „ულტრაკომუნისტურ“ თემაზე პენსიონერთა გაერთიანებული გუნდისა და ორკესტრისათვის)**

## პროლოგის მაგიერ:

... ჩვენში მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებში ჩახედულმა მკითხველმა კარგად იცის, უკანასკნელ ხანს „ღრმა იატაკქვეშეთიდან“ გამოსული ე.წ. „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის“ (ეკპ) „საქმენი საგმირონი“.

ბევრი, ალბათ, თვალსაც ადევნებთ იმ პოლემიკას, რომელიც მოჰყვა გაზეთ „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ მძაფრ, კრიტიკულ მასალებს ამ მიმართულებით.

მათთვის, ვინც ჯერ არ გაცნობია ამ პუბლიკაციებს, ვიტყვი: „ეკპ“-ელები, რომ იტყვიან, მუშტების ქნევითა და იარაღის მუქარით ჯიქურ შემოიჭრნენ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მანამდე კი, განაცხადი შორს, უცხოეთში — რუს ფაშისტ-კომუნისტთა ფორუმზე გააკეთეს: —“პარლამენტში გამძვრალი ნაციონალისტები, — აცხადებს მათი პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე — მართავენ დღეს საქართველოს. ეს მათ გააჩაღეს ომი, და აგერ უკვე ხუთი წელია ჟიჟგნიან საკუთარ ხალხს; გენოციდი მოუწყვეს არა მხოლოდ აფხაზებსა და ოსებს, არამედ საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებსაც“... და ა.შ,

აღარაფერს ვიტყვი იმ „ეპითეტებზე“, ისინი რომ „აჰკობენ“ სახელმწიფოს მეთაურს, ჩვენს ხალხს, საკუთარ ქვეყანას.

არ ვიცი, მეჩვენება თუ — ჩვენი პოლიტიკოსებიდან (სახელმწიფო მეთაურის გარდა) ჯეროვნობით არავის მიუცია სერიოზული შეფასება ულტრაკომუნისტთა ამ თავხედური გამოხდომებისთვის, რომელიც სწორედ ახლა, როცა საქმე სტაბილიზაციისკენ; არჩევნებისკენ, შეებით ამოსუნთქვისკენ მიდის, მართლაც, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

— იყვნონ, ქარავანი ხომ მაინც მიდისო, — იტყვის, ალბათ, მავანი; თუმცა, კარგად იცის, რომ ასეთმა პოზიციამ, გულგრილობამ და ზოგჯერ ბედოვლათობამაც, როგორ დიდ უბედურებას გადაგვყარა... გაიხსენეთ — აფხაზეთი, ან თუნდაც ამასწინანდელი ვანდალური თავდასხმა სახელმწიფოს მეთაურზე. ნახეთ, რა ხდება, თვალი გადაავლეთ, რას წერენ ჩვენებური „ულტრაკომუნისტები“, როგორ ურცხვად მოგვიწოდებენ ხელისუფლების იარაღით დამხობისკენ, ყოველგვარი ახლის, პროგრესულის, საკუთარი ენის, თავისუფლების, სახელმწიფოებრიობის უარყოფისკენ და ისევ იმ ავადსახსენებელ „დიდ როდინაში“გაერთიანებისკენ.

ისევ ჩვენ — ჟურნალისტები თუ გამოვიღებთ აქა-იქ ხელს და ვიტყვით სათქმელს...მაგრამ, გადასძალავს კი იგი გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ესოდენ მოძალებულ ნოსტალგიას. ოცკაპიკიან პურზე, ორმანეთიან ყველსა და სამმანეთიან კარაქზე რის „აღდგენასაც“ ასე ურცხვად სთავაზობენ ხალხს „ულტრაკომუნისტები“.

წარმოიდგინეთ, ზოგს სჯერა კიდეც... რას მივაწეროთ ეს? — მავანთა უვიცობას, გულუბრყვილობას თუ ჩვენი პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, სწავლულების, მათ შორის, ჟურნალისტების უყურადღებობასა და უპასუხისმგებლობას?

ულტრაკომუნისტთა მიერ შემოთავაზებული გზა რომ ნამდვილი უბედურების გზაა, ხოლო მათი ახალი გაფართხალება — „ბოლშევიკური ფუნდამენტალიზმი“, ამას. მხოლოდ სახელმწიფო მეთაური არ უნდა ამბობდეს. ამას უნდა ებრძოდეს ყველა: — პარლამენტი, მთავრობა, ისინიც, ვისაც ევალება ზედამხედველობა კანონზე მათ შორის,კანონზე პრესის შესახებ.ჩვენთან კი, პირიქით ხდება: „ეკპ“-ელები გარეთ ედავებიან, პროკურატურაშიც კი უჩივიან — „კავკასიონელებს“ შეურაცხყოფისთვის.

პარადოქსია,. მაგრამ — ფაქტია!

სწორედ ამაზე მოგახსენეთ ჩემს პუბლიკაციაში — „როცა კატებს აყეფებენ“, რომელიც ა.წ. 28 ივლისს გადაბეჭდა გაზეთმა „კავკასიონმა“. შეგახსენებთ:

აქ საქმე ეხებოდა კომუნისტური „შავი ჭირის“სინდრომს და არა პიროვნულ შეურაცხყოფას. გაზეთ „კომუნისტის“ 10 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული გივი იმედაძის საპასუხო წერილში — („შუბი ხალთაში არ იმალების, ბორისოვიჩ!“ — შენიშვნა: „ბორისოვიჩი, ეს მე გახლავართ! — გ.ჭ.) „ულტრებმა“ ჩემი პიროვნული შეურაცხყოფის, ლანძღვა-გინებისა და მუქარის ნამდვილი კორიანტელი დააყენეს.

სხვაგვარად არც ვფიქრობდი და არც მოველოდი... იმაზე, რაზეც ვწერდი, კომუნისტებს არასოდეს ჰქონიათ პასუხი და აბა, ახლა საიდან მოიტანდნენ. ასეთ დროს, ყველაზე იოლი გამოსავალი როგორც იცი, ოპონენტის პირად შეურაცხყოფაში, უსაფუძვლო ბაქი-ბუქიაობასა და ბრალდებებში უნდა ენახათ და... ნახეს კიდეც. ამაში, იცოცხლეთ, კარგად არიან გაწვრთნილ-გამობრძმედილნი, მაგრამ... იმას ვეღარ ხვდებიან, საცოდავნი, რომ ახლა სხვა დროა, სხვა საზომი და სხვა ქვეყანაც.

## შუბი ხალთაში?!

— გივი ბატონო, უკაცრავად.გივი... ანგელოზოვიჩ! პირდაპირ გეტყვით: თქვენი სახელ-გვარი — გივი იმედაძე, რომელმაც ასე „მეტეორივით“ გაიელვა თქვენი ფაიფაზეთის გვერდზე, საიმედოსა და მით უმეტეს, საგულისხმოს არაფერს მეუბნება; სამაგიეროდ, მეტად მრავლისმეტყველი და შთამბეჭდავია ის შუბი, თქვენ (ან თქვენს „საძმოს“) ჩემს ხალთაში ასე საგულდაგულო ქექვა-ფათურის შედეგად რომ შეგრჩენიათ ხელში... ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ!

ერთი რამ მაოცებს მხოლოდ — თქვენი ლოგიკა: — ხალთაში შუბის პატრონსა, როგორ მწამებთ „ცერებზე აწეული ტანის საეჭვო რხევით სიარულს?“

— ეს რა დოგმართნიათ,-ადრინდელი კაცუჭამიება-ასე რამ დაგლიათ-დაგაჩიავათ, რომ რეალობასა და სიმართლეს თქვენი პარტიული „იაჩეიკებიდან“ მიღებულ გადაუმოწმებელ ინფორმაციას ამჯობინებთ. ჯანდაბას, რაც არის არის... თავი დავანებოთ ხალთასაც, შუბსაც, თქვენს ყიამყრალობასაც და ისევ ჩემი პორტრეტის თქვენეულ შტრიხებს დავუბრუნდეთ.

ჭერ დავძენ — ის პასკვილი, რითაც თქვენ ასე „ამშვენებთ“ თქვენი გაზეთის გვერდს; თბილისელი კაცის გაზეთის გვერდს, თბილისელი კაცის დაწერილს არ ჰგავს, თორემ, ნორმალურ ქალაქელს როგორ გამორჩებოდა ჩემი ცხოვრების მთელი სამი ათეული წლის ნაშრომ-ნაამაგარი... ეს ჯანდაგი კომუნისტები, სულ ახლახან სოროებში რომ იყავით შემძვრალნი და გამოდარებას უცდიდით, მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრამ თუ იქამდეც და შემდგაც ჰურშიც ისხედით —აღარ მეგონა.

გივივ. (მიმართვის თქვენს ფორმას მეც გამოვიყენებ), როგორი იმედაძე ხარ, რომ ვეღარც ჩემეული „დიდაა თუ ბინდია“, „ისევ ის ბიჭი ვარ“, ვეღარც „მოგონება“ და კიდევ ბევრი სხვა სიმღერა ვეღარ გაიხსენე და ქართული საესტრადო ხელოვნების პირველი კომორტის წარმომადგენელს (ასე წერენ წიგნებში) ყველაფერი წყალში ჩამიყარე (ან კიდევ: სად წაიღეთ, სად გადამალეთ ის ოცი წელი, 1960 წლიდან (ე.ი. დაარსების პირველივე წლებიდან) საქართველოს ტელევიზიაში რომ გავატარე რიგითი რედაქტორობიდან — მთავარ რედაქტორობამდე.

— რა ხდება, გამაგებინეთ: —თავის დროზე არც კონცერტზე ყოფილხართ, არც რადიო ჩაგირთავთ და არც ტელევიზორი? მითხარ, თუ კაცი ხარ, მართლა გივი ხარ თუ რობიზონ კრუზო? ახალგაზრდა კაცს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დამიმთავრებია, 20 წლის მანძილზე „ტანისამოსი შემომიხევია“ ტელეგადაცემების, მთელი ციკლების, ფილმების კეთებით, ათასი მადლობა, პრემია, „ჩინ-მენდალი“ (ზოგჯერ საყვედურიც) მიმიღია და... თითქოს არაფერაო, ისე მიფუჩეჩებთ საქმეს? რას მერჩით, რას მემართლებით, როცა ამბობთ: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში მისვლამდე მის ჟურნალისტურ მოღვაწეობას არავინ იცნობდაო — მღუპავთ?!

ან იმ ზოოვეტინსტიტუტში როგორ მოვხვდი, რატომ არაფერი მკითხეთ თქვენსავე კომუნისტებს? გარწმუნებთ, არც გეტყოდნენ, იმიტომ, რომ, არ აწყობთ.

მე გეტყვით (ლოლონდ,ჩვენს შორის უნდა დარჩეს): — იქ, თქვენ გააფთრებულ-გამძვინვარებულ „ნამესტნიკ“ „ვემალებოდი“, რიგითი მასწავლებელი გახლდით საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე, რომელიც აქ ჩემს მისვლამდე არსებობდა. მერე კი, როცა თქვენი თქმით „სსრკ-ს ბიუჯეტიდან კულტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხებით უხვად ვისარგებლე და ფონდირებული ავტომანქანებით ვაჭრობითაც კარგად მოვითბე ხელი“, ფაკულტეტის დეკანიც გავხდი. და... საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების გამართვაც დავიწყე ინსტიტუტში... ფაკულტეტიც ერთ-ერთი პირველი გახდა აგრარული უმაღლესი სასწავლებლების . მთელ სისტემაში. დანარჩენს აღარაფერს ვიტყვი. თორემ ხომ ვიცი თქვენი ამბავი — კრწანისში აქლემების შემოყვანასა და ჩინური აბრეშუმ-ფართლეულით ვაჭრობასაც დამაბრალებთ.

ისე კი, თუ ჩემი სრული პორტრეტის დადგენა გსურდათ, გეთქვათ და გეტყოდით: —არც კრწანისი გადაუტანიათ სადმე, არც ინსტიტუტი და, ალბათ, არც ის ჭილდოები, იქ რომ დავტოვე სწორედ მაშინ, როცა ქვეყანა აირია და თქვენთან პირისპირ შებმა გადავწყვიტეთ. არ ვმალავ, — მეც ვიყავი მათ შორის, თქვენ რომ მიგერეკებოდნენ ჩიტაძისა და ძერჟინსკის ქუჩებიდან... ჰო, ჰო, ჰო, ჰო... რას გარბოდით?!.. (განსაკუთრებით ზოგ-ზოგნი) თქვენს მშობლიურ „როდინაში?!“. არა, ისე ჩუმად, ბათქა-ბუთქის გარეშე კი დაუძვერით ამ ორომტრიალს,თავის გადარჩენის ინსტინქტმა არ გიმტყუნათ...

ახლა დრო იცვლება, ნახეთ სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და სამოქალაქო ომების შემდეგ სისხლისხდილი ქვეყანა, განაწამები ხალხი და ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას ცდილობთ? აკი, გვიკიჟინებთ კიდეც:“ვიღაცის ამბიციების გამო რამდენი ადამიანის სიცოცხლე გავილეთ მსხვერპლად ისე,რომ ვერსად წარმატებას ვერ მივაღწიეთო. გვეეჭვება, თქვენნაირი კომუნისტის მსახვრელი ხელი ხომ არ ერიათ ამ გაუმართლებელ მსხვერპლში“ — მომმართავთ. სწორედ ჭელიძისთანა მედროვე ინტელიგენციამ შეაყარა ხალხს თვალში ნაცარი და დროებით ხილვადაკარგული ააცდინაო „ტაძრისკენ“ მიმავალ გზას“...

— უკაცრავად, აქ რომელ გზაზეა ლაპარაკი? — ალბათ, „კომუნიზმისკენ“ მიმავალზე, არა? ე.ი. თქვენ სწორი გზით მიგყავდათ ხალხი და მე და ჩემისთანებს კი ჩამოგვიყვანიხართ ამ გზიდან. — თუ ასეა, დიდ მადლობას მოგახსენებთ, ძლივს ერთი მართალი სიტყვა არ გავიგონე თქვენგან?! იცოდეთ, მე თუ არა, ჩემი შთამომავლობა მაინც დაგიფასებთ ამ სიკეთეს.

— კი მაგრამ, ისიც მიბრძანეთ, როგორ ან რით ჩამოგიყვანეთ ამ გზიდან ამოდენა ტანკებისა და ზარბაზნების პატრონნი? „გაუმარჯოს ყანას რომ მოეძალებიან ნაწვიმარზე სარეველები, ისე იძალავრეო გაჭელიძის ჟურნალისტურმა პროდუქციამო, რომ ამბობთ, — გაუმარჯოს ყანაში ეტყობა, თქვენ თავს გულისხმობთ. ვიტყვი: — თქვენებური, ლენინური წესითა და მეთოდებით რომ გვემოქმედა და გვემარგლა, „დღეს ასე საპოლემიკოდ აღარ გვექნებოდა „საქმე“.

თქვენ რომ სოროებიდან გამოძვრით და კვლავ „დიდი როდინას“ აღდგენა გადაწყვიტეთ, ჭერ თბილისს, შემდეგ ოსეთსა და აფხაზეთს რომ შემოესიეთ და სისხლის ტბები დააყენეთ, სწორედ მაშინ დაიწყო საქართველოს იმ მსხვერპლის გალება, თქვენ რომ ასე „გალღლავებთ“.

თქვენ რა გგონიათ, არ ვიცით, ვინ ებრძოდა მაშინ ქართველობას? ნუ გავიწყდებათ, მეც იმ ბიჭებთან ვდექი ბარიკადს აქეთ... აიქით — მეორე მხარეს კი — თქვენ ბრძანდებოდით!

—მოიცათ, მოიცათ, ნუ აღშფოთდებით, მერე რა, რომ ზოგს ჩეჩენი, ზოგს რუსის,ზოგს კიდევ მოსკოვის ან ნოვოსიბირსკის „ალფას“ ჩაფხუტები გეხურათ? — ეს თქვენს მიერ ათწლეულების მანძილზე შექმნილი იმპერიული „ზარბაზანი“ულეტდა ჩვენს ახალგაზრდობას, ამ ზარბაზანს კი ისევ იქიდან მართავდნენ, სადაც ახლა თქვენ დაბრძანდებით — „მაღალი ტრიბუნებიდან“ თქვენივე საკუთარი ხალხისა და სამშობლოს საღალატოდ, სადაც იღებთ ინსტრუქციას, სახსრებს, ალბათ, იარაღსაც (თუ დაგჭირდათ). ჩემზე რომ ამბობთ, ტყუილად იკვეხნის, თბილისისა და სამაჩაბლოს ქარტეცხლიანი დღეები გავიარეო, იმ საგაზეთო გვერდებს რაღას უშვრებით, ჩემი და ჩემისთანების იქ ყოფნა რომ არის ასახული?!

და აი, გამოძვერით, ჩვენი ბიჭების დაღვრილ სისხლზე, ძვლებზე გადმოიარეთ და დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ინსტიტუტებიან თავისუფალ ქვეყანაში შემობრძანდით არა? კანონებიც ისეთი დავახვედრეთ, რომ ლაყბობით ქვეყანაც რომ დააქციოთ, ხმის გამცემიც არავინ გყავთ...

გახსოვდეთ, ეს თქვენი დღევანდელი დაუსჯელი პარპაში და მამლაყინწაობა იმათ სისხლსა და ძვლებზეა აღმოცენებული, თქვენ რომ „უგუნურად“ დაღუპულებს უწოდებთ.

უგუნურება, თვალში ნაცრის ყრა,შემოქმედი ადამიანების დევნა, მლიქვნელობა და შენიღბული ძალადობა ვისი მოგონილიც არის, ეს კარგად იცის ჩვენმა ხალხმაც და კაცობრიობამაც. ამ ოხერ დემოკრატიას რა ვუთხარ, თორემ შანთით უნდა ამოგვეწვა, თითოეული კომუნისტური ბაცილა, თქვენ რომ დაგვიტოვეთ „სამახსოვროდ“ ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე. მათ შორის, ჩვენს სულიერებასა და ზნეობაში. სწორედ ეს შემორჩენილი „ციებცხელება“ ჭერაც რომ სულს გვიხუთავს და გვაბრკოლებს ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე.

„საქმე გვაქვს მუდამ მტრიანიო“, — ხშირად ვიტყვით ხოლმე ჟურნალისტები, მითუმეტეს ისინი, ვინც პოლიტიკურ ცხოვრებაში ვტრიალებთ... ასე რომ, ჩემო გივივ, თუ „ეკპ“-ს აჭარის „იაჩეიკიდან“ ამ სახელს ამოფარებული ავტორო, მოდით, კუკუმალაობასა და პოლიტიკურ ოინბაზობას თავი დავანებოთ და პირდაპირ მივადგეთ ძირითად თემას — აჭარის დღევანდელობას, რომელსაც, თქვენდა უნებურად, ჩემდამი მომართული პასკვილის თითქმის ნახევარზე მეტი მიუძღვენით. ეტყობა,თქვენს გაზეთში ჟურნალისტიკა მხოლოდ „ხურმა“ გგონიათ, თორემ ასეთ ელემენტარულ შეცდომას როგორ დაუშვებდით? კონსპირაცია, ნიღბები, გვარების შეცვლა-გამოცვლა განა თქვენი მოგონილი არ არის? — ახლა რა დაგემართათ?! მაინც მიგიხვდით საწადელს „ამხანაგებო“! — აჭარაში მიმდინარე პროცესებში ჩემი მოკრძალებული „ადგილისა და წვლილის“ გაზრდა გაქვთ განზრახული და, ალბათ, ამიტომაც მთავაზობთ აჭარული მთის რეგიონების კომუნისტური — „მაძღარი პერიოდის“ ამსახველ დოკუმენტაციას თავისი სტატისტიკითა და განმარტებებით. ალბათ, იმიტომ იხარჯებით ასე, რომ გსურთ, ჩემს მომავალ ნაწერებში ძველი ახალს შევადარო და დღევანდელი აჭარის „ამაზრზენ“ სურათი დავხატო,არა?! მართლაც, ისე დეტალურად გაქვთ ჩამოთვლილი ძველი ხიხაძირის, ვერნების, ბაკი-ბაკოს, შუბანის, ტომაშეთის, დარჩიძეების, წყლისაყარის, ნაღვარევისა და სხვა სოფელ-დასახლებების საამური ყოფა-ცხოვრება „კომუნისტურ სამოთხეში“, რომ პირზე ნერწყვიც კი მადგება იმ „ყაიმაღის“, „იაღის“, ქაფქაფა „ბორანოს“, არყისა და ღვინის, მოძალებული საკლავისა და გულღია აჭარული მასპინძლობის ხსენებაზე, ასე რომ გცოდნიათ და მოგნატრებიათ თურმე „ულტრაკომუნისტებს“.

აკი ამიტომაც მახსენებთ ჩირუხისა და ბეშუმის დიდ სახალხო ზეიმებს, რომელშიც თურმე ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას და „ტკბებოდა წითელყელსახვევიანი ონავრების ყრიამულით“.

მაპატიეთ, მაგრამ აქ იმდენი რამ არის დეტალურად გაზიარებული,რომ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი.

ერთი სიტყვით, ისეთი სურათია გა[illegible] დახატული, რომ ლამის არის, ხელები [illegible] ვით შევყაროთ, ხალიჩები და ფიანდაზ ფეხქვეშ დაგიფინოთ და მუდარით შ[illegible] თხოვოთ: — ისევ თქვენ მობრძანდით გვიპატრონეთო!

ვფიქრობ, საკმარისად ვთქვი იმა[illegible] შესახებ, ვინც გათვალა და გააპარტახა ჩვენი ქვეყანა. თქვენ ამაში ლომის წილი მიგიძღვით და ეს კარგად იცის ხალხმა, რომლის გაბრიყვებასაც ისევ ცდილობთ თქვენი კომუნისტური დემაგოგიით. აჭარაში ამას ვერ მოიმოქმედებთ და ამიტომაც აქცევთ ქვეყანას აჭაურობის ლანძღვა-გინებით. სხვათა შორის, ამაში თქვენ პირველნი და უკანასკნელნი როდი ხართ. ჩემი ბათუმში ყოფნის სამი წლის მანძილზე, ბევრი მინახავს ურწმუნო, რომელსაც არაფრის არ სჯერა და დაუძინებელ მტრად ჰყავს მოკიდებული იმათ (მათ შორის მეც), ვისაც გვჯერა და გვწამს დღევანდელი აჭარის, მისი ხელმძღვანელის, აქ მიმდინარე აღმშენებლობითი და კულტურული პროცესების დიდი სიკეთის.

იმასაც ვიტყვი: ბევრმა საკუთარი თვალით ნახა და შეიცნო ამ სიკეთის მადლი, დაინახა ის უდიდესი ეროვნული პოტენციალი, რომელიც აღაშენებს, გაამთლიანებს, გააერთიანებს ჩვენს ქვეყანასაც, რაც ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით, წლევანდელ ზაფხულს მოხდა ბათუმში, მართლაც, დიდ იმედებს გვისახავს ყველას. ერთობა, არნახული თანადგომა, ძველის ნგრევა, ახლის შენება, ახალი ყაიდის ხელმძღვანელის ახლებური აზროვნება, ახალი საქართველოს შენებისა და გამარჯვების ნამდვილი საწინდარია.

„ამხანაგო“ კომუნისტებო! ნაფტალინიდან ამოღებულ მასალებს რომ მთავაზობთ აჭარის მთიანეთიდან, ეგებ ჩემიც მიიღოთ და გაიაზროთ: — იცით კი იმის შესახებ, რომ მთიანი რაიონების მთელი მოსახლეობა განთავისუფლებულია ყველა კომუნალური გადასახადისგან. მათ უფასოდ აწვდიან თხევად გაზს, გამოულევად შედის სოფლებში ფქვილი, სხვა სურსათი. შუახევის რაიონში შენდება მცირე ჰესების მთელი კასკადი, რომელიც მთიან აჭარას უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. თუ რამის გამკეთებლები იყავით, თავის დროზე აქ არ გყავდათ მდივნად თქვენი „აჭარული იაჩეიკის“ ახლანდელი ხელმძღვანელი კომუნისტ-მონარქისტი იოსებ ხიმშიაშვილი? რა გააკეთა, რა შესძინა რაიონს?.. (თუმცა, ამაზე სხვა დროს მოგახსენებთ). დღეს კი აქ აშენდა და შენდება ათეულობით ხიდი, იწმინდება და კეთილმოწყობილი ხდება მისასვლელი გზები — ყველაფერი ეს კი ხდება ამ საერთო გაჭირვების ჟამს. ამ ორი კვირის წინანდელმა სახალხო ზეიმმა, ზემო აჭარაში — „შუამთობამ“ ხომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ხალხს სჯერა გამარჯვების, აკი ამიტომაც ასეულობით მთიელი ჩამოვიდა ბათუმში ბატონ ასლან აბაშიძის მოწოდებაზე და გვერდში დაუდგა სტადიონის მშენებლებს,რომლებმაც სულ რაღაც ერთ თვეში არნახული გმირობა ჩაიდინეს — ქვეყანას მისცეს საერთაშორისო სტანდარტების ყველა პარამეტრით უზრუნველყოფილი სპორტული ნაგებობა.

ბათუმის „დინამომაც“ გვასახელა— მანამდე კი ბათუმის „კარატეს ცენტრში“ მომზადებული ეროვნული ნაკრები პანამერიკის ჩემპიონატის 20 მედლით დამშვენებული დაუბრუნდა სამშობლოს.

რამდენი სიახლის, რამდენი სილამაზისა და სიკეთის შემოქმედია დღეს ბათუმი. მართლაც, ბრმა უნდა იყო, რომ ეს ყველაფერი არ დაინახო. ხედავენ კიდეც ახლა, მთელი თბილისი, მთელი საქართველოა ბათუმის, მისი ზღვისპირა პარკის სტუმარი.

ცხადია, ყველაფერი ეს არ მოგწონთ და არც გაწყობთ „ულტრაკომუნისტებს“, რადგან ასეთ ატმოსფეროში კომუნისტური ჰაა ვერ ხარობს, მას მყრალი, აქოთებული ნაძაგი სჭირდება. მაშ, რა ვქნათ, კვლავ ავამყრალოთ აჭარაც და ჩვენი ქვეყანაც იმისთვის, რომ თქვენ იხაროთ?! — არა. „ამხანაგებო!“ ეს აღარ იქნება!

კომუნისტები, რომ ერთდროულად პროვოკატორებიც იყავით, ეს ჩემი მოგონილი არ არის. მართლაც, ასე გიცნობდით ათწლეულების მანძილზე. ასე გაუყენეთ გზას „მიუსავლელში“ მილიონობით ადამიანი, მათ შორის, მთელი ჩემი ოჯახიც. — რა ვქნათ, შეცდომები და გადაცდომები ჩვენც გვქონდაო, უნდა გვაპატიოთ და შეგვიყვაროთო — მაინ[illegible] გვიკიჟინებთ.

ახლა ჩვენ გკითხეთ, გაწყობს თქვენი შეყვარება? — თუნდაც ერთ მაგალითს მოვიტან [illegible] — ვაი,თქვენს ბა[illegible]

[illegible] შ.

# .. ხალთაში შუბის პატრონსა ნუმც გაუთენდეს დარია!

მე—5 გვერდიდან

ქენებთ შეურაცხყოფას ბატონ პანტელეიმონ გიორგაძეს — ამაგდარ კაცს, რომელმაც თავისი კაცური კაცობით ცოტა ამაგი როდი დასდო აჭარას. განა ღირსი არა ხარ ამისთვის, რომ იმავე პანტელეიმონ გიორგაძემ კარგად გაგასილაქოს (რა, ვერ მოგერევა, თუ?).

ახლა ჩემს წერილს მივხედოთ: — „წერილებიცა და მიმართვებიც კი გაუგზავნეთ რუსეთის აჭაური გარნიზონის (ლაპარაკი — აჭარაზე — გ.ჭ.)მეთაურებს — ლ-გვე მარეთ აქ არსებული „ტოტალიტარული ( ეჟიმის“ დამხობაში.ოკ.ვიცით, ნამდ ლ ნინური მეთოდით მოქმედებთ, ... ბილურ აჭარას არევთ, მაშინ მთელ ს რთველო თქვენ ფეხქვეშ იქნიბა გართხმული. ვაი, თქვენს პატრონს?“

ჭეშმარიტი ჟურნალისტი „აკრძალულ ილეთს“ არასოდეს მიმართავს. თქვენ რა გჭირთ, „გივი ანგელოზოვიჩ“ — გაგიჭირდათ, არა? მესმის, გითანაგრძნობთ. არ უნდა მოგეკიდათ ხელი ასეთი რთული მისიისთვის... თქვენ კი არა, დღეს ბევრს გაუჭირდება გაუმკლავდეს ისეთ ჟურნალისტიკას, რომლის უკან მხოლოდ სიმართლე და ჭეშმარიტება დგას.

ასე რომ, როგორც ხედავთ, პანტელეიმონ გიორგაძის პიროვნული შეურაცხყოფა აზრადაც არ მქონია.ეს თქვენი უსირცხვილო მანიპულაციის შედეგია. ახლა რაც შეეხება ჩემი „გასილაქების“ საკითხს. რაღა ჩემს სამაჩაბლოელ თანამესანგრეს მიპირისპირებ, შე კაი კაცო? — შენ რა, ხელ-ფეხი ნათხოვარი გაქვს? სხვისი ხელით ნარის გლეჯა გსურს, მხოლოდ იმიტომ, რომ მის უკან რაღაც ძალას ხედავ? ამ დღეებში ის „ძალაც“ რომ ხელიდან გამოგაცალათ პარლამენტმა?! გირჩევთ: მოეშვით იარაღის ჟღარუნსა და სილა-მუშტების ქნევას, თორემ... ისე კი შენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, მეც გავიკითხავდი ჩემი ოპონენტის ჯიშსა და ჯილაგს, ამ ბოლოდროინდელ გაზეთებს მაინც გადავავლებდი თვალს და ამ ჩემთვის წამგებიანი პასაჟიდან ხელს ავიღებდი. ჭელიძეების „გასილაქება“ ბევრს ძალზე ძვირი უჯდება მსოფლიოში. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ბეჩავნი თვეობით წვანან „კორსეტებში“.

ასე რომ, ამას არც თქვენ გირჩევთ და არც იმათ, ვისი სახელითაც ასე მაშინებთ!

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით ჩემი ძლიერი მფარველებისა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა შესახებ. ეტყობა, თქვენ ჟურნალისტიკაში გამოუცდელი კაცი-ბრძანდებით და განგიმარტავთ: ჟურნალისტებს მფარველები არ ჰყავთ. მათი მფარველი მათი კალამი და მის უკან მდგარი სიმტკიცე, სიმართლე და ჭეშმარიტებაა. ამასთან, თქვენგან იმით განვსხვავდები, რომ პატივს ვცემ სახელმწიფოს მეთაურს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი დღეს ჩემი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და თავისი საერთაშორისო ავტორიტეტით ხელს უწყობს მის აღორძინებას.

ბატონი ასლან აბაშიძე კი საქართველოს უდიდეს მოამაგე მამულიშვილად და თანამედროვე, სრულიად ახლებური აზროვნების ხელმძღვანელად მიმაჩნია, რადგან თავად ვარ მოწმე იმ უდიდესი სიკეთისა, რასაც ის ამკვიდრებს. თუ თქვენც და მავანიც მაგ შავ სათვალეს მოიხსნით და აქ ჩამობრძანდებით, თავად დარწმუნდებით ამაში.

ასე რომ, თქვენგან განსხვავებით მე ვემსახურები ჩემს ქვეყანას, ის არის ჩემთვის უზენაესი და ვიდრე შემწევს ძალა, ვიბრძოლებ მისი სიკეთისთვის.

**გია ჭელიძე**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი

P.S. - ეპილოგის მაგიერ:

ჩემი მოკრძალებული „პერსონით“ „ეკპ“-ს ლიდერების, განსაკუთრებით მათი „აჭარული იაჩეიკის“ პირველი მდივნის — იოსებ ხიმშიაშვილის დაინტერესებამ, ცხადია, მეც გამიჩინა საპასუხო ინტერესი.

არც გამემტყუნების. — ხომ უნდა ვიცოდე ვისთან მაქვს საქმე!

მეც ავდექი და სწორედ მათ მივაკითხე, ვინც წლების მანძილზე იცნობს „ამხანაგ“ იოსებს.

ყოფილმა პარტიულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა მითხრეს: — ქვეყანა რომ აირია და საშველად გვქონდა საქმე, სწორედ მაშინ ჭაშპა და ბედის ანაბარა მიგვყარა ჩვენი საოლქო კომიტეტის მაშინდელმა მეორე მდივანმა — იოსებ ხიმშიაშვილმა და მონარქისტებს შეეკედლაო.

მონარქისტებთან მივედი და: — რას ამბობ,თუ ძმა ხარ, მაგ კაცის სახელი არ გაგვაგონო, კომუნისტებმა რომ პარტიის ჩამოყალიბება დაიწყეს, ისევ მათკენ იბრუნა პირი, რადგან პირველკაცობას შეპირდნენო აჭარაში. შეპირდნენ და გახადეს კიდეც „ეკპ“-ს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანიო.

პირველობა ძალიან უყვარს თურმე „ამხანაგ“ იოსებს.

მთავრობის წევრებსაც ვკითხე... ასე მითხრეს: — 1991-ში აჭარაში „დიდმიტინგობის“ მოთავე სწორედ იოსები გახლდათ — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა — აჭარაში მეორე კაცობა სწადდაო ხიმშიაშვილს. ვერ გამოუვიდა.

მერე ვიფიქრეთ, მაინც ჩვენებურია, გარკვეული გამოცდილება აქვს და მინისტრობა შევთავაზეთ. შორს დაიჭირა, როგორ მაკადრეთო, ბრძანა და განაწყენდა. ასეაო განაწყენებული დღემდე.

კაცი სახედარზე ვერ ჯდებოდა და აქლემს აფოფხდებოდაო, — მართლაც ასე ყოფილა საქმე... აკი, ამიტომაც ვერ ისვენებთ „ამხანაგი“ იოსებ და თქვენს „შეფიან“ — პანტელეიმონ გიორგაძესთან ერთად ხან თბილისში ხართ, ხან მოსკოვში და ერთად ორ ხმაში ლანძღვა-გინებით იკლებთ აჭარას, საქართველოს.

— „ხალხთა კავშირს რომ აღვადგენთ, — აცხადებს ამხანაგი პანტელეიმონი ამასწინათ გაზეთ „შანსში“, —უთუოდ შემოვიერთებთ ოსეთსაც, აფხაზეთსაც და... აჭარასაცო... ეს უკანასკნელი „აჭარული შტრიხი“ თქვენი ლიდერის გამოსვლაში ნაღდი ხიმშიაშვილისეული იქნება, თორემ დღეს რომელი ჭკუათმყოფელი ილაპარაკებს საქართველოსთან აჭარის „შეერთებაზე“.

ახლა რომ „ენამზეობს“ აჭარის საქართველოსთან „შეერთებაზე“, თავის დროზე,თუნდაც ერთი სასიკეთო ქვა მაინც გადაეგორებინაო ამ კაცს —მითხრეს შუახევში, სადაც თქვენ რაიკომის პირველ მდივნად გიმუშავიათ და იმდენიც ვერ მოგიხერხებიათ, რომ მაშინდელი „ხონჩით“ მორთმეული თანხებიც მაინც აგეთვისებინათ რაიონის სასიკეთო, თუნდაც, ერთი პრობლემის გადასაწყვეტად.

არც განათლების მინისტრობის დროს „მოგიკლავთ“ თავი მუშაობით! — რა ვქნა, ასე ამბობენ, თუ არ გჯერათ, თავად გაიკითხეთ!..

ღმერთია მოწამე, ერთი კეთილი სიტყვა, ერთი კეთილი საქმე არავინ გაიხსენა, იოსებ ბატონო. ის კი თქვეს: ბინების მოტრფიალე ბრძანებულხართ. ზოგჯერ თურმე არც შანტაჟს ერიდებოდით. თუ რამეს ან ვინმეს დაკარგავდით — ყველაფერს ხელისუფლებას აბრალებდით. და სხვა მრავალი...

ერთი სიტყვითა და ერთი გაკითხვით ასეთია თქვენი არასრული, მიახლოებითი პორტრეტი.

ამის გამგონეს, ცხადია, უმალ დამიცხრა სურვილი — უფრო ღრმად ჩავღრმავებოდი თქვენს ბიოგრაფიულ „ანალებს“, რადგან „ეკპ“-ს აჭარის „იაჩეიკის“ გარდა, სხვაც ბევრნი მყავნან ისეთნიც, ვინც განსაკუთრებული გულმოდგინებით „ეძიებენ შუბებს ჩემს ხალთაში“.

... ვინც იპოვის, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს!

## მეცნიერის თვალსაზრისი

„თუ სახელებსა და სიტყვებს სწორად არ ვიხმართ, მეტყველებაც არ აეწყობა, თუ მეტყველება ვერ აეწყო, საქმეც აირევა.

თუ სიტყვებს სწორად ვიხმართ, მეტყველებაც სწორად გაიმართება. თუ მეტყველება გაიმართა, საქმეც სწორად წარიმართება“.

**კონფუცი**

# ჩვენი პასუხისმგებლობის შესახებ ენის გამო
# ფარეხი თუ გარაჟი?

პირველად რომ მოვისმინე ტელევიზიის ეკრანიდან „ფარეხი“ გარაჟის მაგიერ, „იარაღის ამოღება“ იარაღის ჩამორთმევის ნაცვლად, „ბოდიში გადავუხადე“ და „მადლობა მოვუხადე“, კიდევ ზოგი ასეთი კურიოზი, რაც, თურმე, სხვასაც, ნორმალურ მოქართულეს შეუმჩნევია (თუ არ ვცდები, აკაკი ბაქრაძეს აღუნიშნავს კიდეც ეს საგანგებოდ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, უშედეგოდ) ვიფიქრე, იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ აქ საქმე ეხება მხოლოდ ენის სიწმინდეს, სტილის მიხედვით სიტყვის შერჩევას და სხვას არაფერს. ცხოვრებაში სხვა მრავალი უფრო არსებითი ხასიათის სიძნელე გვაქვს და განა რა ისეთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას, თუ რომელ სიტყვას იხმარ და ფრაზას როგორ აგებ. ვიტყვი სრულიად გარკვევით: ცხოვრებისეული სიძნელე, რაც აშკარაა და რის დაძლევასაც მოვინდომებთ, თვალწინაა და მას შევძლებთ ან ვერ შევძლებთ. მაგამ ჩვენი არსებობის პირველ საფუძველს რომ ვეხებით, იმას, რაც ღმერთის მოუცია და რაც ჩვენს წინაპრებს სასოებით შემოუნახავთ, აქ დიდი სიფრთხილე ჭირდება, არ დავაზიანოთ ეს პირველსაფუძველი: ენის მთლიანობა ისევე დასაცავია, როგორიც მამულისა და სარწმუნოებისა. ძველმა ჩინელმა ბრძენმა სახელმწიფოში წესრიგის შენარჩუნება ენაში წესრიგიდან გამოიყვანა, სიტყვათა მნიშვნელობისა და ტერმინთა სწორად ხმარება აუცილებელ პირობად მიიჩნია და, პირუკუ, სახელმწიფოში საქმეთა მოუწყობლობა ენაში აღრევას დაუკავშირა. ასე რომ, ეს არ არის ენის სიწმინდის მარტივი საკითხი, საქმე ეხება ჩვენი მყოფობის საფუძველთა საფუძველს, ღრმა სტრუქტურულ ძვრებს ქართული ენის სიღრმეულ ფენებში.

ჩამოყალიბებული ტერიტორიული მთლიანობის [illegible] სრულიად მართებული რეაქცია [illegible] ცხოვრებაში ბზარის გაჩენის [illegible] და [illegible] ნაგებობა რომ ჩვენს თვალწინ ნაწილ-ნაწილ იშლება [illegible] სიკანსაში გვგონია. გავიხსენოთ, [illegible] ქართული ტყის მასივების [illegible] ამ ერთი ხის მოჭრა არ არის! ენის [illegible] სახეცვალებელი სიტყვის ენიდან [illegible] ყონებს ჩვენს დიდებულ ტა-[illegible] ჩამოაცილებს ან, რაც უარესია

— საყრდენი ლოდის მორყევას; ასეა ენაც. ოღონდ აქ ის თავისებურებაცაა, რომ ყოველი სიტყვა მართლა თავისთავადია, მაგრამ განცალკევებულად როდი დგას ენაში, იგი შინაგან კავშირშია აზრობრივად დანათესავებულ სიტყვებთან და არათუ ამოგდება, თვითნებური პატარა გადაადგილებაც კი უკვალოდ არ ჩაივლის და დაშლით დაემუქრება ენის მთლიანობას, იმ მთლიანობას, რომელიც ქართველი ერის ენობრივ მსოფლხედვას ქმნის. დიდ ჰუმბოლდტს უთქვამს: „ყოველი ენა ერის მსოფლხედვააო“ და, ამდენად, ენის დაზიანება ამ მსოფლმხედველობრივი ნაგებობის დაზიანებას მოასწავებს. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ — გაგვაფრთხილა ქართველმა პოეტმა.

უცხო სიტყვების შემოტანა ახალი ნივთების სახელად, თუ იგი ზომიერად იქნა შემოტანილი და ბუნებრივად ჩაჯდა ქართულის სემანტიკაში, შესაძლებელია, ენის სისტემისთვის მტკივნეული სულაც არ იყოს. ის კი არა და, ჩვენ გვაქვს აღმოსავლური ენებიდან შემოსული სულიერი პროცესების (ემოციის) აღმნიშვნელი სიტყვები: დარდი, ჯავრი, სევდა (ასეთი რამ ყველა ენაში ხდება), რომელნიც გაჯდნენ ქართული ენის ორგანიზმში დიდი ხნის წინ და დღეს ისეთივე ფუნქციის მატარებელნი არიან, როგორიასაც ძირეული ქართული სიტყვები. ოღონდ, მთავარი ისაა, რომ ისინი აღნიშნავენ ჯერ კიდევ მანამდე აღუნიშნავ სახეობებს ემოციისა და არ იკავებენ რომელიმე ქართული სიტყვის ბუნებრივ ადგილს. სრული გაუგებრობაა უკვე დიდი ხნის წინ დამკვიდრებულის მნიშვნელობითი გადაადგილება-დაახლოებით ისე, სკამს რომ მაგიდა დავარქვათ, ან წვიმის ნაცვლად თოვლი ვიხმაროთ. ენაში მნიშვნელობათა აღურევლობის სიმტკიცის საჩვენებლად თანამედროვე დასავლურ ენათმეცნიერებაში „სიტყვათველის“ ან „მნიშვნელობათველის“ პრინციპი შემოიტანეს. ეს აზრით დანათესავებულ სიტყვათა მეზობლობაა, სადაც ერთი სიტყვა მეორის გარეშე ვერ ფუნქციობს და საერთო სტრუქტურაში შემავალი სიტყვები ერთმანეთთან მიმართებით ძალით არსებობენ.

ჩვენს გულისკვილს რომ დავუბრუნდეთ, შინაური ცხოველების სადგომი ქართულში შემდეგნაირად აღინიშნება — ფარეხი, ბოსელი, საჯინიბო. უფრო, კონკრეტული და გარკვეული: საღორე, საქათმე.

ყოველი მათგანი შინაურ ცხოველთა გარკვეული სახეობის ჯგუფს გულისხმობს: საჯინიბო ცხენთა სადგომია, ბოსელი — საქონლისა და ა.შ. — ასევე „ფარა“ ცხვრისაა (ფარეხიც, თითქოს, აქედანაა), რემა — ცხენის, ჯოგი — საქონლის, კოლტი — ღორის. ამ განაწილებას ასე ადვილად ვერ მოვშლით. ეს ჩვენი სიტყვანის სიმდიდრეა. ქართველის თვალთახედვას გამოხატავს და დიდი წარსულის მქონეა. იგი არის იმ დროიდან, როცა ცხენი, ცხვარი, საქონელი იყოლია ქართველმა კაცმა, არც ერთი ქართველი გლეხი არ იტყვის „ლორის ჯოგს“ ან „ცხვრის რემას“. არავინ იტყვის ლის ბაღიაო, იტყვის ქართველი, ბოსტანში ბოსტნეულია, ვენახში ყურძენია... ეს ისეთი აუცილებელი დაყოფაა, როგორც ნათესაობის ელემენტთა სტრუქტურა: დეიდა — მამიდა — ბიცოლა... ქართველს ყმაწვილობიდან აქვს იგი შეთვისებული. ასევე, ყმაწვილობიდან იცის ბოსელი, საჯინიბო, ფარეხი... რას ვერჩით პატარებს? რატომ ვურღვევთ მათ ქართულში საუკუნეებით განმტკიცებულ ბუნებრივ წყობას? აქ, როგორც ითქვა, საქმე ერთი სიტყვის შეცვლას კი არ შეეხება, არამედ იმას, რომ მოირღვევა მთელი სიტყვათნაგებობა: ბოსელმა იკისროს ფარეხის ფუნქცია თუ სახელი ასევე, „საქონლის კოლტს“. სულხან საბა ორბელიანთანაც ეს მკაცრადაა გარჩეული (იხ. „სიტყვის კონა“). ეს განაწილება ისტორიულად ისე დაცულია და ისე მყარია, რომ ამ სემანტიკური ჯგუფის ელემენტთა აღრევა მთელი სტრუქტურის მოშლას იწვევს, რაც ამ დიდ სახიცოცხლო უბანში ერთიანი ქართული ცნობიერების მოშლას მოასწავებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საშიშროება გაჩნდა, როცა „გარაჟის“ ქართული შესატყვისის გამოძებნა დაიწყეს და „ფარეხი“ შეარჩიეს — მანქანასა და ცხვარს ერთი სადგომი მიუჩინეს (რატომ ფარეხი და ბოსელი არა?). საქმე კურიოზამდის მიდის: „ტროლეიბუსი შევიდა ფარეხში“, „ავტობუსი ამა და ამ ფარეხში დგას“.

ჯერ ერთი, „გარაჟი“ ფრანგული სიტყვაა და იგი გავრცელებულია სხვადასხვა ენაში. მაგალითად, გერმანელებიც გარაჟს ამბობენ და რუსებიც. მათ არ ჩაუთვლიათ საჭიროდ მისი თარგმნა. იგი შედარებით ახალია და მანქანის სადგომს ნიშნავს. მას აქამდე ქართულშიც არ თარგმნიდნენ. ხომ არ ვიტყვით „ეზოში ბევრი ფარეხი დგას“ ან „ფარეხები დგას“, არამედ —„ გარაჟები დგას“. ვამბობთ „გარაჟები მომრავლდა ეზოებში“, ფარეხები მომრავლდაო — ძნელი სათქმელია. თუ კაცს მანქანაცა ჰყავს და ცხვარიც იგი რა, ორივეს ფარეხში შეიყვანს თუ შედენის? ზემოაღნიშნული ერთეულები „სიტყვათველს“ ქმნიან.

ეს მყარი სტრუქტურაა და მასში შემავალი ერთეულები: ფარეხი, ბოსელი, საჯინიბო, ისე მკაფიოდ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან, როგორც ბაღი, ბოსტანი, ვენახი — მათ ხომ არავინ აურევს ერთმანეთში! ხეხილის ბაღს...

ჯინიბომ? „მნიშვნელობათველში“ აღრევა მოხდება და სიტყვებს შორის დიდი ხნით დამკვიდრებული ზღვარი წაიშლება. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ენაზე ასეთი ძალმომრეობა აგრესიის ფარული, მაგრამ მძიმე ფორმაა და მისმა შემომტანმა ან ელემენტარული ქართული არ იცის, ან კიდევ მის თვითნებობას საზღვარი არა აქვს. საკვირველი ისაა, რომ პრესა ამას ეგუება და ძალაუნებურად გზას უკვალავს მაშინ, როცა პრესის მუშაკებს შორის არცთუ ცოტაა კარგი მოქართულე და მე ეს კარგად ვიცი. ყოველ შემთხვევაში, პრესა დუმს, მიძინებულია, მაგრამ „სულ ძილი, ძილი...“?

ეს ლექსიკა გამჯდარია ქართულ ენაში, ყმაწვილთათვის საკითხავ წიგნებში, ზღაპრებში. მგელი ფარეხს დაეცა, რას დაეცა — ცხვარს თუ ტროლეიბუსს? მოდით, თავგზას ნუ ავუბნევთ ყმაწვილებს.

თავისუფლად შეიძლება თვითნებურ ექსპერიმენტზე უარის თქმა. ამ რამდენიმე წლის წინ, ბევრს ახსოვს, ტელევიზია ერთხანს ხმარობდა „ლიპყინულს“ — რუსული ГОЛОЛЕДИЦА-ს კალკს, „გზა მოყინულიას“ ნაცვლად. უხერხულობა იმხომად დიდი იყო, რომ თვითონვე გააუქმეს. ახლაც ასეა, ალბათ, საჭირო. ვიმეორებთ: საქმე ეხება არა ერთი სიტყვის პრობლემას, არა ენის სიწმინდეს, ანალოგია რომ ვიხმაროთ, არა ლურჯის ელფერით ლურჯის შეცვლას, არამედ ფერთა მთელი სპექტრის მოშლას (მაგ. წითლის ნაცვლად ყვითლის ხმარებას) და, ამდენად, ენის შინა-აზრის მოშლას. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არავის ეგონოს, თითქოს ეს ერთი სიტყვით მეორე სიტყვის შეცვლაა მხოლოდ და არც კი ღირს ამაზე ამდენი ლაპარაკი: ნამდვილად კი საქმე ეხება საზოგადოდ ერის სულიერ მემკვიდრეობასთან ჩვენს დამოკიდებულებას, მით უმეტეს, რომ ეს მემკვიდრეობა უბრალოდ შესანახი ტრადიცია კი არ არის, არამედ დღესაც მოქმედია და დიდად სიცოცხლისუნარიანიც. საკითხი ეხება, მაშასადამე, ჩვენს პასუხისმგებლობას ენისა და ამ ენის მომხმარებელთა წინაშე; პირველ რიგში, ეს არის ახალი თაობა, რომელსაც ნორმად ვუწესებთ (უფრო სასკოლო პრაქტიკაში) ამ სიტყვათა მცდარ გაგებას არა მხოლოდ მეტყველებაში, ამით თვით საგანთა აღქმასა და საგანთა გაგებაშიც შეგვაქვს არევ-დარევა. ისიც საგულისხმოა, რომ ოჯახში უფროსებისგან არავინ იხმარს ფარეხს გარაჟის ნაცვლად, სკოლაში კი მასწავლებელი სწორედ პრესის გავლენით, წითელი ფანქრით დაემუქრება ამის არმცოდნე ბავშვს. ამავე დროს, სოფლად ვერ იპოვით ერთ ბავშვსაც კი, „ფარეხი“ თავისი ნამდვილი მნიშვნელობით რომ არ იცოდეს — ფარეხი ცხვრის საზამთრო სადგომს ნიშნავს. ქალაქელი ბავშვი ჩვენ შემოგვყურებს, თუ იგი ტროლეიბუსით ან ავტობუსით მგზავრობს, ყოველდღიურად ისმენს მგზავრების ირონიასა და სიცილს მძღოლის ნათქვამზე „ტროლეიბუსი ფარეხში მიმყავსო“.

მოდით, პრესის მუშაკებს და იმათ, ვისაც ეს მოეკითხებათ, ვთხოვოთ, ნუ ჯაუჯერენ მოსახლეობას, მეტადრე ბავშვებს, ახალ, თანაც გამოგონილ სიძნელეს იქ, სადაც ამის საჭიროება სრულებით არ არის და, პირიქით, საზიანოც კია. ვთხოვოთ, აგრეთვე, ტროლეიბუსისა და ავტობუსის მძღოლებს (მათაც ხომ ჰყავთ ბავშვები) ამიერიდან ნუღარ იტყვიან „ტროლეიბუსი ფარეხში მიმყავს“ ან „ფარეხში უნდა შევიყვანოო“. სიტყვა გარაჟი ჯერ კიდევ კარგა ხანს მოგვემსახურება. ზოგჯერ „სადგომიც“ შეიძლება ვიხმაროთ. მძღოლი, ალბათ, ასეც იტყვის: „ტროლეიბუსი უნდა დავაყენოო“ და ყოველმა მგზავრმა იცის, თუ რას ნიშნავს ეს.

ერთი სიტყვით, ენა თვითნებობის ობიექტი არ არის, მასზე ექსპერიმენტებს უნდა მოვეშვათ. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ მას — ერის კონსოლიდაციის მძლავრ ფაქტორსა და ქართული ისტორიული ცნობიერების შემანარჩუნებელს — უწოდა იაკობ გოგებაშვილმა „ერის ბურჯი“.

**ზურაბ რამიშვილი**

თსუ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, პროფესორი

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## №5 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის შედეგები

შენიშვნა: გამარჯვებული განაცხადის შემთხვევაში განაცხადის ნომერი უნდა ემთხვეოდეს ქვითარში მითითებულ განაცხადის რეგისტრაციის ნომერს და პუნქტის ნომერს

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტრ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| „ფენიქსი-2“ | 13 | 01 | 45 |
| „კასპიელექტრო აპარატი“ | 2 | 08 | 6 075 |
| „ინტერკონი“ | 12 | 01 | 160 |
| | 1 | 03 | 11 200 |
| | 2 | 03 | 11 200 |
| | 3 | 03 | 6 400 |
| | 4 | 03 | 6 400 |
| | 5 | 03 | 11 200 |
| | 6 | 03 | 8 000 |
| | 7 | 03 | 11 200 |
| | 8 | 03 | 7 136 |
| | 9 | 03 | 17 280 |
| | 5 | 08 | 8 640 |
| | 4 | 10 | 320 |
| „ქარელის საკონსერვო ქარხანა“ | 1 | 36 | 180 |
| „ხურო“ | 2 | 58 | 15 750 |
| | 6 | 58 | 8 955 |
| „ჯიხა“ | 35 | 01 | 210 |
| | 1 | 05 | 40 992 |
| | 1 | 46 | 42 |
| | 2 | 46 | 420 |
| | 3 | 46 | 210 |
| „რუსთავის ლუდი“ | 7 | 2000 | 15 795 |
| | 9 | 2000 | 45 |
| | 10 | 2000 | 45 |
| | 12 | 2000 | 135 |
| | 1 | 01 | 45 |
| | 2 | 01 | 45 |
| | 3 | 01 | 45 |
| | 4 | 01 | 315 |
| | 5 | 01 | 45 |
| | 6 | 01 | 270 |
| | 7 | 01 | 45 |
| | 8 | 01 | 45 |
| | 10 | 01 | 45 |
| | 11 | 01 | 225 |
| | 14 | 01 | 45 |
| | 15 | 01 | 45 |
| | 19 | 01 | 225 |
| | 22 | 01 | 90 |
| | 54 | 01 | 180 |
| | 58 | 01 | 45 |
| | 2 | 05 | 45 |
| | 3 | 08 | 60 750 |
| | 7 | 10 | 450 |
| | 1 | 21 | 180 |
| | 2 | 21 | 135 |
| „წყალტუბოს ხორცკომბინატი“ | 3 | 58 | 23 232 |
| | 4 | 58 | 88 |
| | 5 | 58 | 17 776 |

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტრ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| „კოტეხი“ | 30 | 01 | 11 880 |
| | 31 | 01 | 23 760 |
| | 32 | 01 | 17 820 |
| | 34 | 01 | 220 |
| | 53 | 01 | 880 |
| | 8 | 04 | 132 |
| | 1 | 22 | 308 |
| | 2 | 22 | 264 |
| | 3 | 22 | 132 |
| | 4 | 22 | 220 |
| | 5 | 22 | 88 |
| | 6 | 22 | 88 |
| | 8 | 22 | 264 |
| | 9 | 22 | 220 |
| | 10 | 22 | 2 376 |
| | 11 | 22 | 176 |
| | 12 | 22 | 132 |
| | 13 | 22 | 88 |
| | 14 | 22 | 44 |
| | 15 | 22 | 132 |
| | 16 | 22 | 132 |
| | 17 | 22 | 440 |
| | 18 | 22 | 220 |
| | 19 | 22 | 308 |
| | 20 | 22 | 44 |
| | 21 | 22 | 44 |
| | 22 | 22 | 132 |
| | 23 | 22 | 264 |
| | 24 | 22 | 220 |
| | 25 | 22 | 132 |
| | 26 | 22 | 132 |
| | 27 | 22 | 616 |
| | 28 | 22 | 44 |
| | 29 | 22 | 5 940 |
| | 30 | 22 | 176 |
| | 31 | 22 | 2 640 |
| | 32 | 22 | 3 828 |
| „ფოთის მაცივარი“ | 23 | 01 | 32 |
| | 36 | 01 | 64 |
| | 7 | 05 | 4 320 |
| | 8 | 05 | 4 320 |
| | 1 | 09 | 32 |
| | 3 | 10 | 320 |
| | 2 | 57 | 24 320 |
| „სამტრედიის ნომ.2 საკონსტ-ნა“ | 1 | 74 | 135 |
| „ელექტრონიკა-94“ | 6 | 2000 | 9 315 |
| | 8 | 2000 | 46 |
| | 11 | 2000 | 46 |
| | 16 | 01 | 690 |
| | 17 | 01 | 1 150 |
| | 18 | 01 | 2 415 |

| საწარმოს დასახელება | განაცხ. რეგისტრ. № | პუნქტის № | გაიყიდა აქცია (ცალი) |
|---|---|---|---|
| | 20 | 01 | 1 495 |
| | 21 | 01 | 1 058 |
| | 24 | 01 | 2 300 |
| | 26 | 01 | 1 242 |
| „ფოთინავთობ-პროდუქტი“ | 28 | 01 | 46 |
| | 33 | 01 | 46 |
| | 38 | 01 | 69 |
| | 56 | 01 | 46 000 |
| | 6 | 08 | 6 210 |
| | 2 | 09 | 23 |
| | 1 | 10 | 230 |
| | 6 | 16 | 23 |
| | 1 | 57 | 23 |
| | 3 | 57 | 1 380 |
| | 1 | 58 | 115 |
| „ლეხურა“ | 1 | 08 | 12 150 |
| „ერა“ | 9 | 04 | 24 464 |
| „ბორგასალი“ | 2 | 11 | 34 965 |
| „მერცხალი“ | 2 | 10 | 450 |
| „მარაბდა-1994“ | 7 | 08 | 4 500 |
| „ებას“ | 9 | 01 | 45 |
| | 55 | 01 | 9 000 |
| „მცხეთა“ | 37 | 01 | 44 000 |
| | 39 | 01 | 44 000 |
| | 51 | 01 | 22 000 |
| | 52 | 01 | 22 044 |
| | 3 | 05 | 44 |
| | 6 | 10 | 440 |
| | 3 | 32 | 88 |
| „ცირკი“ | 25 | 01 | 45 |
| | 27 | 01 | 45 |
| | 40 | 01 | 2 250 |
| | 41 | 01 | 1 350 |
| | 42 | 01 | 1 800 |
| | 43 | 01 | 2 250 |
| | 44 | 01 | 450 |
| | 45 | 01 | 2 250 |
| | 46 | 01 | 900 |
| | 47 | 01 | 2 250 |
| | 48 | 01 | 450 |
| | 49 | 01 | 450 |
| | 50 | 01 | 900 |
| | 4 | 08 | 6 075 |
| | 5 | 16 | 45 |
| „მუხრანის ღვინო“ | 57 | 01 | 16 218 |
| | 5 | 05 | 5 100 |
| „პეგასი“ | 29 | 01 | 41 580 |
| | 59 | 01 | 29 964 |

ედუარდ მორგან ფორსტერი

# პრუსტი

(1929 წ.)

სკოტ მონკრიფმა დიდოსტატურად თარგმნა „დაკარგული დროის კვალდაკვალ", ზუსტად და შინაგანი წვდომით. ყველაზე კომპეტენტურმა მსაჯულებმა მის ნამუშევარს მაღალი ხოტბა უგალობეს, და თუ მათ ქოროში ჩემი ხმა მკაფიოდაც არ გაისმის, რა დაგიმალოთ და მერჩია, რომ ინგლისურად ეს რომანი ფრანგულზე ცოტა უფრო იოლი საკითხავი ყოფილიყო. არადა, მონკრიფმა დედნისეული ყველა სიძნელეც რუდუნებით გადმოკინძა. სადად დაწყებული ფრაზა გრძელდება, გრძელდება და ისე მიიწელება, თითქოს მინდორმინდორ ქარი მიაფრიალებდეს, შიგადაშიგ ჩართულ წინადადებათა ღობე-ბარდები წამომართულან, ყელყელაობენ შედარებათა ყვავილები და მხოლოდ მერეღა, კარგა მანძილს რომ გაივლით, უეცრად თავს წაადგებით ძირითად შემასმენელს, დაჭრილი ხოხობივით ბალახში ჩანაბულს, დასჩერებიხართ საბრალოს და ვერ გაგირკვევიათ: ღირდა კია მის მოსახელთებლად ამოდენა გზის გამოვლა, თანაც თოფიარაღიან-მეძებრებიანად და რამდენად შეესატყვისება იგი თავის ქვემდებარეს, თხუთმეტი ბწკარის ზემოთ რომ შემოგხვდათ და რატომღაც ნათესაობით ბრუნვაში იდგა? რას იზამთ, ამგვარ წინადადებებს გვიქმნის პრუსტი და მათ არც ერთი ნაღდი მონადირე გვერდს არ შეუვლის. ალბათ სწორია სკოტ მონკრიფი, ინგლისელი მკითხველიც რომ აიძულა, ამ ნადირობაში ჩართულიყო და თითოეული წინადადების ალაიაში გავლილს თავისით შეეგრძნო, რა ნაოსტატარია მთელი ეს ნაწარმოები თავიდან ბოლომდე.

მთელი ნაწარმოები თავიდან ბოლომდე! მოცულობით იგი აი ჩვეულებრივ რომანს აღემატება და ისევე ჩაუწვდომელია, როგორც თავად ცხოვრება, ოღონდ ცხოვრება, რაგვარადაც მას თანამედროვე წიგნიერი კაცი აღიქვამს. და მაინც ცხოვრებასა და პრუსტის რომანს შორის არის განსხვავება და პრუსტის სასარგებლოდ — არა. მაგრამ რამდენადაც მთავარში ერთმანეთს თანხვდებიან, უფლება გვეძლევა განვაცხადოთ, რომ ყველა სხვა ნაწარმოეზე შთამბეჭდავად ეპოქის სული ამ ნაწარმოებმა გამოხატა. ისტორიკოსი, რომელიც რომის იმპერიის დასაწყისს იკვლევს, ვერგილიუსის გამჭვირვალე სტრიქონებში არა მხოლოდ ენეასის საგმირო საქმეებს ამოიკითხავს, არამედ იმათეულ შეფარულ ნაღვლსაც, ვინც რესპუბლიკურ ქარტეხილებსა და თავისუფლების მნელბედობებს მყუდრო თავშესაფარი არჩია. გვიანი შუა საუკუნეების მკვლევარი „ღვთაებრივ კომედიაში" არა მხოლოდ წარმოსახვის სუბიექტურ თამაშს შეამჩნევს, არამედ უკანასკნელი, ყველაზე დიდი ჯვაროსნული ლაშქრობის აღწერასაც, ლაშქრობისა, რომლის ბოლო მიზანი ზეცა იყო. სწორედ ასევე, მეოცე საუკუნის მომავალი ისტორიკოსი, როცა პრუსტისეული მოფაცფუცე ყოვლად უმნიშვნელო გმირისა და სნებერმენული სნობიზმის ამბებს გადაიკითხავს, შიგ თქვენცა და მეც დაგვინახავს. და იტყვის: „მხატვრულობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ეს არის ეპოხა, რომელშიაც ეპოქის სული აირეკლა". მერე კი დასძენს (რითაც უთუოდ გაგვაოგნებს კიდეც, თუ ბრძენკაცთა მოსმენას მთლად არ გადავჩვევივართ): „ეს იყო თავგადასავლების საუკუნე".

ცხადია, ვერც თქვენ, ვერც მე და ვერც თვითონ პრუსტს სახიფათო თავგადასავლებში ვერავინ ჩაგვითრევს. მაგდაგვარ ფათერაკებს მთელ წიგნში წამლადაც ვერ იპოვით: გერმანტთა ციხე-დარბაზის დაფნები მოქმედების დაწყებამდე დიდი ხნით ადრევე გახუნებულან, სენ-ლუს სამხედრო ვნებებს რამდენადმე ძველმოდური და ცოტა სასაცილო იერიც დაჰკრავთ ჰერალდიკური ლომებივით, და თუ ნისლს იქით დონსიერის ფორტიფიკაციული ნაგებობები ილანდება და დაფდაფების ხმაც გაისმის, ნამდვილი ბრძოლისკენ მოწოდებას აქ ნურავინ ელის. მსოფლიო ომიც კი, სადღაც რომანის ბოლოსკენ რომ იწყება, მხოლოდ ბინძური და უტვინო მხეცია, კაცთსაკლავად აჯაგრული. მის მყრალ სიბნელეში სექსუალურ სიამეთა სამებნელად დაძრწის ბარონი შარლიუ. ჟანა დ'არკის როლი კი მადამ ვერდიურენს მიუთვნებია. ერთი სიტყვით, სარაინდო და რომანტიკულ თავგადასავლებს აქ ვერსად წააწყდებით. მაგრამ წიგნის პერსონაჟებს სიცოცხლე სწყურიათ, ავტორის სიამოვნებასა ჰგვრის მათზე წერა და შეკითხვაზე: „კი მაგრამ რისთვის, თუ ქვეყნიერება ასე ცუდია?" მივიღებთ პასუხს, რომელიც ჩვენს გულებშიც გამოძახილს პოვებს: „იმის საცოდნელად, თუ როგორი იქნება ხვალინდელი დღე". ხვალინდელი დღე ალბათ, დღევანდელზე უკეთესი არაფრით იქნება, თუ უარესი არა, მაგრამ მას ერთი უჩვეულო ჯადო აქვს — ჯერ არ დამდგარა. თავის თავში ჩახარშულსა და აშკარად უბედურ პრუსტს უეჭველად დიდი სასიცოცხლო ენერგია ჰქონდა მიმადლებული — სხვაგვარად ასეთი მოცულობის ნაწარმოებს ვერ ასწევდა — და მერმისი მწველ ინტერესს აღუძრავდა. ისიცა და მისი გმირებიც მკვიდრად არიან ჩაბღაუჭებულნი სიცოცხლეს, არადა, საგანთა ლოგიკის მიხედვით, ცხოვრება თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინათ. მერედა რა, ავადმყოფობა გასაქანს თუ არ აძლევთ, ცნობისმოყვარე თვალი მაინც ჩვენი მიუსაფარი დედამიწის მოსახილავად გაურბით. დიახ, „დაკარგული დროის კვალდაკვალ" ცნობისმოყვარეობისა და სასოწარკვეთილების ეპოხაა. თავგადასავლები კი სავსებით თანამედროვე თავგადასავლებია სულისა, ნერვებისა, ტვინისა, როცა ადამიანი უმიზნოდ მიილტვის და მიღელავს საით და თვითონაც არ იცის, საით.

თუ სასოწარკვეთიდან მოვყვებით, იგი პრუსტთან ზედაპირული სრულებითაც არ გახლავთ, თეორია კი არა, სიღრმისეული განცდაა, პოსტულატია: ამიტომაც წარმავალობის თემა მის სამყაროში ბუნებრივად ჟღერს, როგორც „სფეროთა მუსიკა". დააკვირდით, რა ანდამატურად იზიდავს მას ავადმყოფობა. ცხადია, უძლურება და სიკვდილი ყველას მოგვცელის, მაგრამ მთელი სიმძაფრით მაშინ განვიცდით ხოლმე, როცა ავადმყოფს ვუვლით, ან საავადმყოფოს პალატაში მოგვიხდება შევლა, ან კიდევ თვითონ ვართ ავად. პრუსტისთვის კი ავადმყოფობა ყოველდღიური რეალობაა. სნეულებათა მიკრობები წამით არ წყვეტენ მუშაობას ბალებსა და რაუტებზე მისულ სტუმართა შიგნით: სვანს სახეზე გერმანული ლაჟვარდის ლაქები აყრია, ბრილიანტებით დახუნძლულ დიუშესა დ'ორვილეს კიბო ღრღნის, გმირის ბებია კი, წუთის წინ რომ სისხლი ჩაექცა, კეკლუცად პოზირებს ფოტოგრაფის წინაშე. მაგრამ მთავარია, რომ შიშისაგან ძარღვებში სისხლი არ იყინება. პრუსტი ერთობ დიდი ხელოვანია საიმისოდ, რომ სიკვდილის როკვათა კრუნჩხვიან აღწერებს შეზაროდეს. მისი გმირები ცოცხალი ადამიანები არიან და არა გადაცმული ჩონჩხები თუ ვენტეილის მუსიკაზე მოსაუბრე ჭვრეტითი აბსტრაქციები. უბრალოდ, ჩვეულებრივ რღვევას უფრო აშკარად ექვემდებარებიან, ვიდრე თქვენ და მე. პრუსტი სრულიად უნდობლად ეკიდება ყველა ჯურის საშინელებებს, გაურბის აშკარა ტრაგედიებს და არ უყვარს გულის აჩვილება, მან სრულიად ორიგინალური შეხედულება ჩამოიყალიბა ადამიანური არსებობის არამდგრადობაზე და უადგილო არ იქნება, აქ იგი ტოლსტოის შევუპირისპიროთ.

„ომი და ზავის" ეპილოგს ხალისიანს ვერამც და ვერამც ვერ დაარქმევ: ნიკოლაიც და ნატაშაც დროს სახიკეთოდ სულაც არ შეუცვლია, მაგრამ თაობათა რითმული აღმა და დაღმასვლა სევდას ასე თუ ისე მაინც ანელებს. პრუსტი კი ბოლომდე თავის ძველ გმირებს არის მიჯაჭვული და მათ შეთხელებულ რიგებს ახალგაზრდებით არ ავსებს. არა, შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, ახალ თაობასაც გვაცნობს: მადამ სენტ-ევერტის ტიტულს ახლა ყმაწვილი ქალი ატარებს და არა ის ძველი ნევროზული ქაფწუა. მაგრამ ახალგაზრდებზე მხოლოდ იმიტომ თუ დაგველაპარაკება, რომ ბებრები გაასილაქოს. ახალგაზრდული ცხოვრების ორომტრიალი მას აღარ აინტერესებს, ბავშვები კი საერთოდ რომანს მიღმა რჩებიან. პრუსტის შეხედულება კაცობრიობაზე (ამ თვალსაზრისით) აშკარად შეზღუდულია, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დროის შესახებ მას ძალზე თავისებური შეხედულება ჰქონდა. ტოლსტოისთვის დრო გაბმით მიედინება, მატიანის ლოგიკურ ჩარჩოებში თავსდება, პრუსტისთვის კი დაწყვეტილ-დანაწევრებულია, როგორც მეხსიერება ანდა სიყვარული. სამყაროს ამგვარი სტრუქტურის მიხედვით სულ იოლია, კაცობრიობა მხოლოდ ხრწნადი და რღვევადი სახით წარმოსახო, განსხლება რომ არ უწერია, მაგრამ პრუსტისთვის ეს არის შინაგანი რწმენა და არა ინტელექტუალური თამაში, მას სათავე პრუსტის სასოწარკვეთის წიაღში უდევს.



რომანში ასახული ყველა პირადული ურთიერთობა სასოწარკვეთილებითა და უიმედობით არის გამსჭვალული. პრუსტი დაუსრულებლად ხაზს უსვამს ადამიანში ჩაბუდებულ უმიზეზო სისასტიკეს. ერთგულ მოახლეს, ფრანსუაზას, გაწამებული ჰყავს ჭურჭლის მრეცხავი ქალი და მის საწამებლად უჩვეულო იარაღს ირჩევს — სატაცურს, რომანის ბოლოს კი ბერმას მკვლელობით პრუსტი უკანასკნელ სისხლიან წერტილს სვამს. და რა სახისა და ჯურის ამაზრზენი ბიწიერებები, გარდა სისასტიკისა, არ აღმოაჩინა პრუსტმა ჩვენში. მაგრამ ყველაზე საშინელი ნაკლი მაინც ის არის, რომ ადამიანს უნარი არ შესწევს შეიყვაროს ვინმე და თავი შეაყვაროს. ვთქვათ, A და B (თუ ალგებრულ სიმბოლოებს გამოვიყენებთ) კარგი ნაცნობები არიან. სანამ მათი ურთიერთობა მჭიდრო არ გამხდარა, ისინი მშვენივრად ეწყობიან ერთმანეთს. მაგრამ აი, A-ს შეუყვარდება B და მათი ურთიერთგაგება იმწამსვე გაქრება, რადგან შეყვარებულმა A-მ B რაღაც X სიდიდედ აქცია. მაგრამ B-მ ხომ არ იცის, რომ ის X-ია, არ შეუძლია მოიქცეს როგორც X, და როცა მას ორპირობაში დადებენ ბრალს, თვითონაც ვალში არ რჩება. საქმე განხეთქილებით თავდება. ხოლო თუ სიყვარული ორმხრივია, მდგომარეობა ყოვლად აუტანელი ხდება, რადგან ახლა ფალსიფიკაციით ორივე მხარეა დაკავებული: A B-ს X-ად აქცევს, B კი A-ს Y-ად. უგულობა-ორპირობის ბრალდებანი ორკეცდება და ოთხკეცდება: როგორც პირისპირ დადგმულ ორ მრუდე სარკეში, შეყვარებულები ერთმანეთში დაუსრულებლად ირეკლებიან და მახინჯდებიან. ორმხრივი სიყვარული, მადლობა ღმერთს, იშვიათად გვხვდება, მაგრამ თუ გაჩნდა, მას ისეთი ტანჯვა-წამება მოაქვს, რომ მასთან შედარებით გაუზიარებელი სიყვარული ნამდვილ ბედნიერებად მოგეჩვენება.

მოკლედ, ადამიანურ ურთიერთობათა ძირითადი თეორია პრუსტთან სრულიად პესიმისტურია: რაც უფრო ძვირფასია ჩვენთვის ესა თუ ის ადამიანი, მით უფრო ნაკლებ გვესმის მისი. დანტე ამ საკითხზე სულ სხვა აზრისა იყო. ამასთან დაკავშირებით ღირს, წამით განვეშოროთ თანამედროვეობას და გავიხსენოთ, ექვსი საუკუნის წინათ რა შეხედულებანი ჰქონდათ სიყვარულზე. „ღვთაებრივი კომედიის" ავტორს სჯეროდა: რაც უფრო ძლიერ გვიყვარს ადამიანი, მით უკეთ გვესმის მისი. ამრიგად, დანტეს თეორია სავსებით ოპტიმისტური იყო. ცოდნა მისთვის უდრიდა სიყვარულს, სიყვარული — ცოდნას, და ბეატრიჩე ბეატრიჩე ვერ იქნებოდა, პოეტს რომ სასუფეველში მასთან შეხვედრის იმედი არ ჰქონოდა. ამ ცოდვილ და არასრულყოფილ დედამიწაზე დანტეც, რა თქმა უნდა, ცდებოდა, როცა ბეატრიჩეს X-ად წარმოისახავდა და მისგან რაღაც ისეთს ელოდა, რისი მიცემაც მას დანტესთვის მეტადაც არ შეეძლო, ვიდრე ოდეტას — სვანისათვის. მაგრამ სამოთხეში ილუზიები იფანტება და სიყვარული მიწიერი არსებობის შემთხვევითობებისგან იწმინდება. ბოლოს და ბოლოს გულსა და გონებას შორის მშვიდობა მყარდება და ისინი ჭეშმარიტ არსებობას იწყებენ. დანტესა და პრუსტის თვალსაზრისი დიამეტრულად საპირისპიროა, და არა ხასიათთა შორის სხვაობის გამო, არამედ იმიტომ, რომ პირველი იმ წლებში ცხოვრობდა, როცა ადამიანებს რაღაცა სწამდათ.

მე თვითონ ურწმუნო საუკუნის შვილი ვარ და პრუსტის შეხედულებები ჩემთვის უფრო მახლობელია, მაგრამ საღ აზრსაც ხომ ანგარიში უნდა გაეწიოს, ადამიანი მას ენებათაღელვის დროსაც მთლიანად როდი კარგავს. გარდა ამისა, მეტისმეტად დიდ როლს ხომ არ აკისრებს მწერალი ეჭვიანობის განცდას? სიყვარულს, მისი აზრით, მხოლოდ ეჭვიანობა ასაზრდოებს. როცა, მაგალითად, მის გმირს მობეზრდება ალბერტინა და მიტოვებას უპირებს, საკმარისია, ეჭვი აღეძრას, სხვა შეიყვარაო, რომ ეს ქალი მისთვის ისევ ისე სასურველი გახდეს. მარსელი, ოღონდ კი სატრფო შეინარჩუნოს, მზად არის, ყველაფერზე წავიდეს — სისასტიკეზე, მსხვერპლზე, ყოველგვარ უბადრუკობაზე. წიგნში მოთხრობილი ორივე სერიოზული რომანი ამგვარი გრძნობებით არის გამსჭვალული, რაც პრუსტის სამყაროს გაცილებით უფრო ძნელგასაძლისს ხდის, ვიდრე რეალურ ცხოვრებას. კი, ბატონო, დროდადრო ჩვენც ვეჭვიანობთ, მაგრამ არა უკლებლივ ყველანი და არა ღლემუდამ. ამისგან რაღაც დოზით შრომა გვახსნევს — ლუკმაპურის შოვნაც ხომ საჭიროა. პრუსტის გმირები კი სხვას არაფერს აკეთებენ იმის გარდა, რომ უქმად ყოფნის სიტკბოსა და — შესაბამისად — სიმწარეს ეწაფებიან. აი აქ კი „პრუსტი" და „ცხოვრება" თანხვედრილნი სრულებით არ არიან: ცხოვრება გაცილებით უფრო მიმზიდველია და ამიტომაც მეოცე საუკუნის მომავალი ისტორიკოსი მიხვდება — ცნობისმოყვარეობისა და სასოწარკვეთილების ამ ეპოხამ ალბათ, რაღაცით ზუსტადაც ჩაავლო თქვენსა და ჩემს არსს, ოღონდ — ბოლომდე ვერა.

დასასრულ, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა პრუსტის ცნობისმოყვარეობაზე. იგი სრულიად ამოუწურავია, რაღაც უცნაური მწერივით ჯიუტად დაძრწის საფრანგეთის მიწაზე, ძირს იშვიათად იყურება, მაღლა — არასოდეს, და ლამობს, შეიცნოს როგორც ცხოვრების სფერო, ასევე — სფერო ხელოვნებისა. თვითონ პრუსტმაც ყოველთვის როდი იცის, რომელი რომელს ამჯობინოს და როგორც ყოველი სათუთად ორგანიზებული არსება, ხან ერთი მხარისკენ იხრება, ხან — მეორისკენ. მაგრამ საბოლოო ჯამში უპირატესობა მაინც ხელოვნებას ენიჭება. ბერგოტი, ელსტირი, ვენტეილი, ბერმა და თვით დილეტანტი სვანიც ბევრად აღემატებიან სალონთა დიასახლისებს, პოლიტიკოსებს, მეღოფტეებსა და შეყვარებულებს: ისინიც, რაღა თქმა უნდა, დაიხოცებიან, მათ ნაწარმოებებს არასწორად გაიგებენ, მაგრამ მაინც — უფრო ძლიერადაც ვერ იტყვი — მაინც ხელოვნება უკეთესია. ამიტომაც წიგნის ბოლო ფურცლებზე გმირი გადაწყვეტს, მწერალი გახდეს. იგი მიმოიხილავს მთელ თავის ავლადიდებას, დღის სინათლეზე ამოიტანს, რაც გადავიწყებული ჰქონდა და ეს გადავიწყებული ერთი წამით ცოცხლდება, რომ ისევ განქარდეს და ლეთაში საბოლოოდ დაინთქას. მაგრამ ეს წამი ხელოვანის წამია, გახსენებისა და იმავდროულად ქმნადობის ჟამი. და ამ მეთოდისაგან შედევრი შეიქმნა.

„დაკარგული დროის კვალდაკვალ" თითქოს ორმაგი ცნობისმოყვარეობით არის შექმნილი. თავიდან ამ ცნობისმოყვარეობას „სოციალური" ხასიათი ჰქონდა: პრუსტი დაიარებოდა წვეულებებზე და რაუტებზე, იძენდა მოსაწყენ ნაცნობებს, იშვიათ დაავადებებს; საკუთარ თავზე გამოცადა, რას ნიშნავს, იყო სნობი, ეჭვის სნეული, მარტოსული, ცხვირგაწითლებული ზეიბარი. მერე დადგა დრო სულ სხვა, ხელოვნებისმიერი ცნობისმოყვარეობისა. პრუსტი შეუდგა ძველ რაუტთა გახსენებას, გაწმინდა ისინი შხამისაგან, მათ უკვე ტკივილი კი აღარ მოჰქონდათ, არამედ სარგებლობა: A და B ანალიზის მიკროსკოპქვეშ ისე აფუთფუთდნენ, როგორც ბაქტერიები სინჯარაში, უკვე სრულიად უწყინარნი და წიგნის პერსონაჟებად სავსებით გამოსადეგნი. არა, პრუსტის ცნობისმოყვარეობა მთლად იმდაგვარიც არ არის, როგორც თქვენი და ჩემი, მაგრამ ის ხომ ისეთი სიმპათიურიც არ იყო, როგორც თქვენ და მე, ოღონდ — რამდენადმე უფრო ფაქიზად შემგრძნობი, ღრმად მიმხვედრი, ჭკვიანი! მისი ცნობისმოყვარეობაც ჩვენს დროებას ეკუთვნის, ისევე როგორც ჩვენეულია მისი სასოწარკვეთა, მერე რა, თუ ხანდახან იმედიც გამოკრთება. ასე რომ, არა მთლიანად დაზუსტებით, მაგრამ იგი მაინც ჩვენი წარმომადგენელია; მეოცე საუკუნის მომავალი ისტორიკოსისთვის ეს მსგავსებაც საკმარისი გამოდგება და რომანის ეპიკური ძალმოსილება ჯეროვან დაფასებას ჰპოვებს.

## დიდი მოაზროვნეები



გუშინ, 15 სექტემბერს, ბატონ **მერაბ მამარდაშვილს** 65 წელი შეუსრულდებოდა... ჩვენი დროის ამ დიდი მოაზროვნისთვის უმაღლესი ღირებულება პიროვნების თავისუფლება გახლდათ. ტოტალიტარული ფენომენის, ტოტალიტარული რეჟიმის დამღუპველი მექანიზმების გააზრება და ანალიზი იყო უმთავრესი მიზანი ბატონ მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური საუბრების და ლექციებისა. იგი ცდილობდა ჰომო სოვიეტიკუსად ფორმირებულ ადამიანში პიროვნება გაეღვიძებინა, გაეთავისუფლებინა იგი ანტისაზოგადოების ფანტომებისა და ქიმერებისგან. ცივილიზებულ ერად ქცევის უმთავრეს პირობად ბატონი მერაბი ეროვნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მიიჩნევდა. საჯარო ლექციებში მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „ჩვენი ეროვნული თავისუფლება ის ფორმაა, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების დაბადებასთან უნდა მიგვიყვანოს. ეროვნული დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ჩვენ, ქართველებმა, დავინახოთ საკუთარი თავი, თუ რა არის ჩვენში კარგი და რა ცუდი, რა იყო სწორი და რა მცდარი ჩვენს მიერ განვლილ გზაზე და ჩვენს ისტორიაში. ეს იქნება დიდი ნაბიჯი ცივილიზაციისკენ, სამოქალაქო სახელმწიფოსკენ, განვითარებისკენ, სიმდიდრისკენ... მოდით, ჩავწვდეთ იმ უხილავ ძაფებს, რომლებიც მსოფლიო ბედთან გვაკავშირებს. ჩვენი ბედი სწორედ იქიდან მოვა".

მკითხველს ვთავაზობთ ბატონ მერაბ მამარდაშვილის მიერ 1988 წელს პარიზში წაკითხული მოხსენების ქართულ თარგმანს. მასში გამოთქმული ნააზრევის გაცნობა, ვფიქრობთ საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის.

მთარგმნელისგან

## მერაბ მამარდაშვილი

# ნაციონალიზმი და პოსტტოტალიტარული საზოგადოება

მე მსურდა მხოლოდ რამდენიმე საკითხი დამეფიქსირებინა, რამდენიმე მარტივი ევიდენცია (ცხადი ვითარება). მათი გათვალისწინება აუცილებელია იმ ფენომენის გასაგებად, რომელსაც ემპირიულად აღიქვამენ როგორც ნაციონალიზმის მოულოდნელ აღორძინებასა და ნაციონალიზმის - ალმავლობას. ვფიქრობ, საჭიროა დავუბრუნდეთ ძალზე ხშირად დავიწყებულ ამ ევიდენციებს, ვინაიდან ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ზ ე საუბარი თავისთავად ნიშნავს მისთვის, როგორც მოვლენისთვის მყარი იარლიყის მიკვრას, მის შეფასებას, თეორიულ მხილებას. ეროვნებათა საკითხის ამგვარი თვალთახედვით განხილვა უპრიანია იმდენად, რამდენადაც იგი საწყისია სხვა, მისი მსგავსი ევიდენციებისა და ტოტალიტარულ სახელმწიფოში სოციალური და სულიერი ძიების რეალურ აზრს განაპირობებს.

უპირველესი ევიდენცია გახლავთ ის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო მისი არსებითი ნიშნების თანახმად არის ანტისაზოგადოება იმავე აზრით, როგორიც აქვთ თეორიული ფიზიკის ტერმინებს: ანტიმატერია, ანტისამყარო. ტოტალიტარული სახელმწიფო გახლავთ პირუკუ ხატი სამოქალაქო საზოგადოებისა; ტოტალიტარული სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოებას გამუდმებით და გეგმაზომიერად უარყოფს სხვადასხვა იმიტაციების წარმოქმნით. ყოველი ტოტალიტარული ფენომენის პირობა არის სამოქალაქო საზოგადოების გაუჩინარება, მოკვდინება, მოსპობა. თუმცა, ასეთივე ჭეშმარიტება გახლავთ საპირისპირო მოვლენა: ძლიერი და ცხოველმყოფელი სამოქალაქო საზოგადოება გამორიცხავს ტოტალიტარიზმს, როგორც საზოგადოების შესაძლო ფორმას.

ზემოთქმულიდან შეგვიძლია გავაცნობიეროთ ერთი ახეთი ევიდენციაც: ამგვარად განსაზღვრული ყოველი ტოტალიტარული საზოგადოება არის უნინაციონალური ანუ მონონაციონალური. როდესაც ტოტალიტარულ სახელმწიფოს ხელეწიფება საზოგადოების მართვა საკუთარი რედუქციული ძალის მეოხებით, ასეთი საზოგადოების სულისკვეთება ყოველთვის რასისტულია; იგი ჩქეფს მის სისხლძარღვებში, ვლინდება ეთნიკურად გაბატონებული ჯგუფის ნადილში, მენტალობაში და ჰუმანურობის დონეში. შესაძლოა, ამ საზოგადოების სამეტყველო ენა — ისე როგორც ეს იყო გერმანიაში — არ იყოს მკვეთრად რასისტული და თავის ფარულ სტრუქტურას ნიღბავდეს ისეთი ტერმინებით, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოების განვითარებას, მის სოციალურ და ისტორიულ ალმავლობას უმაღლეს საფეხურზე; ასეთი დონიდან ეთნიკურად გაბატონებული ჯგუფი, თავისი უპირატესი მდგომარეობის წყალობით, დანარჩენ საზოგადოებრივ ჯგუფებს წირავს დრომოჭმული, ჩამორჩენილი, მანკიერი წყვდიადისთვის. ტოტალიტარული საზოგადოების ამ ფერშეცვლილ ენას ის უპირატესობაც აქვს, რომ მას წუნს ვერ დასდებთ. მაგრამ ამ ენის საფუძვლებიც და ხატებიც (გამოხატულებებიც) ისტორიის მამოძრავებელი ძალა გახლავთ, სურვილთა კრისტალიზაციებისა და აქტიურ ფსიქიკურ ძალთა კოაგულაციების მსგავსად. რეალობაში მათი ქმედება გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ სივრცეთა სხვაობისა თუ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ენათა არჩევანის მიღმაა.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, გაცხადდება კიდევ ერთი ევიდენცია: ერთ-ერთი ფორმა, რომლის მეშვეობითაც ფხიზლდება სამოქალაქო საზოგადოება და უბრუნდება სიცოცხლეს, სწორედ იძულებით თავსმოხვეული მონონაციონალიზმის მსხვრევა გახლავთ ე.ი. ეროვნულ განმათავისუფლებელ გრძნობათა და მოძრაობათა აღორძინება. სამოქალაქო საზოგადოების გამოფხიზლება, მისი ძალ-ღონის აღდგენა და მომძლავრება ხორციელდება კონკრეტულ სინამდვილეში და არა თეორიულ აბსტრაქციათა სფეროში. ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებში მყოფი სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც სიკვდილის დარი სიცოცხლით იცხოვრა, ამავე რეჟიმის უმთავრესი მტერია, მან იგი უნდა დაამარცხოს და კიდევაც დაამარცხა!

ამ ფაქტს ნათელს ჰფენს „საჯაროობის" (გლასნოსტის) შედეგად ტოტალიტარული ენის ფანტომურ ფორმათა, მწყობრ, დაუსრულებელ ლინგვისტურ ფიქციათა და დეფორმაციათა, ტოტალიტარიზმით რიტუალიზებული სიცრუის რეჟიმის რღვევა და გაუჩინარება. ამგვარი ტრანსფორმაციის ფონზე ხელახლა იბადება სიცოცხლის გრძნობა, ნ ა მ დ ვ ი ლ ი სიცოცხლისა, მისი ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და სირთულით. ნაცვლად იმისა, რომ ემყარებოდნენ იდეებს, ქიმია და სოციალური სუბსტანციები ცდილობენ დაუბრუნდნენ თავიანთ ნორმალურ, საუკუნეთა მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცირკულაციას სასიცოცხლო სისხლძარღვების მეშვეობით. შესაბამისად, ეროვნულ პრობლემას წყვეტს მულტინაციონალური სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, რაკი განსაზღვრების თანახმად, ადამიანთა ტოტალიტარული სახელმწიფო — რომელიც ანტისაზოგადოებაა — გახლავთ უნინაციონალური. ისტორიისა და დროის მიღმა მოგზაურობიდან, მანდელშტამის თქმით, „უხქესო სივრცეში" (no vhere) სიურრეალისტური ყიალიდან, ვუბრუნდებით ისტორიულ სინამდვილეს აქამდე ჩამორთმეული ეროვნული თავისებურების გზით. ეროვნული ცნობიერების აღორძინების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაბეჯითებითი მოთხოვნით, უშუალოდ მივემართებით იქით, რომ საზოგადოებრივი მატერიის არტიკულაციისა და დიფერენციაციის რთული პროცესი მოვაქციოთ მისსავე კალაპოტში, ანუ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი. განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების რეალური განხორციელება ადასტურებს სწორედ ინდივიდის ცივილიზებულობას, ანუ იმას, რომ იგი არის წევრი ისეთი განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებისა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ინდივიდუალობას, მის დამოუკიდებელ არსებობას.

ზემოთქმულის თანახმად, ასევე შეიძლება განვაცხადოთ, რომ ეკონომიკაც ერთგვარი კულტურაა. ის არ გახლავთ მხოლოდ მატერიალური ინტერესებით თამაში ("თამაში" ფრანგულ ენაზე გარკვეულ სარგებელსა და ზარალთან დაკავშირებულ ქმედებასაც გულისხმობს. ბატონი მერაბი სიტყვას სწორედ ამ აზრით ხმარობს. მთარგმნ.), ანდა ფულის ოქროდ ქცევა. ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოებისკენ შემობრუნება იმავდროულად კულტურისა და ცივილიზაციისკენ მობრუნებაც გახლავთ.

მაგრამ დახეთ! თითქოსდა მოგვარებული ეროვნული პრობლემა კვლავ წამოიჭრა. რატომ? თუ სამოქალაქო საზოგადოება აღდგება ჩემს მიერ განსაზღვრული პროცესის თანახმად, მაშინ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მცდელობისას საბჭოური სივრცის ეთნოსები, რომლებმაც ოქტომბრის რევოლუციამდე ვერ აუბეს მხარი დროს, აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში.

ცნება მ ო დ ე რ ნ უ ლ ო ბ ა დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის საზოგადოებისთვის. იგი ჩამოყალიბდა დაახლოებით XVII საუკუნისთვის, მას შემდეგ, რაც გასრულდა ეროვნულ სახელმწიფოთა ფორმირების პროცესი. ეს ის სახელმწიფოები გახლავთ, რომლებიც მოგვარებული ეროვნული პრობლემებით შეხვდნენ სრულიად ახალი ბუნებისა და განსხვავებული რიტმის მქონე ეპოქის მაჯისცემას. სამწუხაროდ, საბჭოურ სივრცეში ეროვნულ სახელმწიფოთა ყოფისთვის დამახასიათებელი კანონები და რიტმი კიდევ უფრო ართულებენ და ამძაფრებენ გათანამედროვების პრობლემებს: ინდუსტრიული დემოკრატიები საზოგადოებას და საზოგადოებრივ ხელშეკრულებას აფუძნებენ დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდის ფენომენზე. მაგრამ სწრაფვა პიროვნების გათანამედროვეობისკენ საქმეს იოლებს ეროვნული დამოუკიდებლობის აღორძინების სურვილის მეოხებით. ეს მრავალ სირთულეს უქმნის პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს, ვინაიდან ჩვენ ერთდროულად ვყალიბდებით ერად და სამოქალაქო საზოგადოების მოქალაქეებად. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მთელი ეს პროცესი მიმდინარეობს პოსტტოტალიტარული საზოგადოების ბურუსში, სადაც თითქოსდა გაუვნებელყოფილი და ბლოკირებული ტოტალიტარული სტრუქტურები, კვლავ არსებობენ სოციალურ და მენტალურ სივრცეში. არსებითად ეს გახლავთ რეფორმის პირობები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებას ორიენტირად დაუბრუნოს თავისუფლება და დამოუკიდებელი ინდივიდუალური კეთილსინდისიერება; მეორე მხრივ, დაუწესოს მყარი და იერარქიული ინსტიტუციური ნორმები ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობას.

ფრანგულიდან თარგმნა
დოდო
ლაბუჩიძე-ხოშერიამ

გამოხმაურება

# ისტორიული წყაროთმცოდნეობის დიდი შენაძენი

ამჟამინდელი შეჭირვებული მდგომარეობის შედეგად, ქაღალდის ნაკლებობის, პერიოდული მეცნიერული გამოცემების შემცირების, გაიშვიათების გამო, ვეღარ ხერხდება დასტამბული მეცნიერული პროდუქციის დროული, სათანადო შეფასება. სწორედ აღნიშნულის გამო, ფართო საზოგადოებას ვერ მიეწოდა ცნობები ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მზექალა შანიძის დიდებული პუბლიკაციის — „ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს შესახებ (თბილისი, „მეცნიერება“, 1992, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ).

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და კარგა ხანია, რაც ხალხი ჯეროვან, დამსახურებულ პატივს მიაგებს ქართველთა მოდგმის მხსნელ დიდად ღვაწლმოსილ აღმაშენებელ მეფე დავითს. დაიწერა მრავალი გამოკვლევა, მონოგრაფია, თბილისის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მისი სახელი ეწოდა. მალე დედაქალაქს სახელგანთქმული მეფის ცხენოსანი ქანდაკება დაამშვენებს.

ყველაზე დიდი ძეგლი დავით აღმაშენებელს მისმა თანამოაზრემ და თანამებრძოლმა, იმ ბრწყინვალე მემატიანემ დაუდგა, რომლის ნაღვაწი ქართველთა ბიბლიის, „ქართლის ცხოვრების“ კრებულის, საუკეთესო თხზულება გახლავთ. ამბავი დიდი დავითის მოღვაწეობის შესახებ ყველაზე სრულად სწორედ ამ ნაშრომიდან არის ცნობილი. თხზულება დიდ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ პროფესიონალ ისტორიკოსთა, ფილოლოგთა, ზოგადად ჰუმანიტარული დარგის მკვლევართა თვალთახედვით, არამედ საყურადღებოა ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის ზოგადად.

წყაროთმცოდნეობა მასაზრდოებელი საკვებია ისტორიისა. არაერთგზის აღნიშნავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი „ქართლის ცხოვრების“-კრებულში შემავალ თხზულებათა საგანგებო ტექსტოლოგიური შესწავლის აუცილებლობას. არ სჭირდება კომენტარი ასეთი პერსპექტიული სამუშაოს შესრულების უდიდეს მნიშვნელობას. განსვენებულმა რევაზ კიკნაძემ ცალკე, მეცნიერულად სათანადო დონეზე გამოსცა კიდეც „ასწლოვანი მატიანე“ და ქალბატონ მზექალას მიერ გამოცემული ისტორიაც დავით აღმაშენებლისა ივანე ჯავახიშვილის ნაანდერძევის ხორცშესხმა გახლავთ. ისტორიული პირველწყაროს მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოსაცემად მრავალმხრივი განათლება არის საჭირო. ტექსტოლოგს უნდა ხელეწიფებოდეს წყაროს გამოწვლილვით გაანალიზება ისტორიულ, ფილოლოგიურ, ენათმეცნიერულ ასპექტებში. უცხო ენებზე წყაროს ადრეული პუბლიკაციების არსებობის საბედნიერო შემთხვევებში, ტექსტის მართებული დადგენისთვის ტექსტოლოგი პოლიგლოტიც უნდა გახლდეთ.

პროფესორ მზექალა შანიძეს ქართული მეცნიერული და არამარტო მეცნიერული საზოგადოება კარგად იცნობს. იცნობს როგორც მაღალი რანგის მეცნიერისთვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული თვისებებით აღჭურვილ პიროვნებას. სწორედ ამიტომაც არის მის მიერ გამოცემული ძეგლი დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა, მაღალი ნიმუში წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების.




მკვლევარს შესწავლილი აქვს თხზულების ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხის შესაბამისად (ამ კრებულის გარეშე თხზულების ნუსხა არ არის დადასტურებული). ნაშრომი შესწავლილია ენის მორფოლოგიური, სინტაქსური კონსტრუქციების თავისებურებათა თვალსაზრისით. ფართო ერუდიციით არის გამოკვლეული ძეგლის ლიტერატურული წყაროები. გასწორებულია ტექსტის ლექსიკურად გამრუდებული ადგილები. ყოველივე აღნიშნულს შეიცავს გამომცემლის მიერ ტექსტისთვის წამძღვარებული გამოკვლევა, რომელიც საკუთრივ ტექსტს თითქმის ორნახევარჯერ აღემატება. თავდაპირველად, ცოდვა გამხელილი სჯობს, კაცი იფიქრებს რა მოხდა, რა ამბავიაო? მაგრამ გამოკვლევის დაკვირვებით გაანალიზებისას მიხვდებით, რომ კვლევა-ძიება ჩატარებულია სრულიად სკრუპულოზურად გამიზნული დატვირთვით, რომ მასში არაფერია ჭარბი. ვიმეორებ, გამოცემა ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების სანიმუშო თარგია, გაკეთებულია ყველაფერი, „რათა ისტორიკოსებს ხელთ ჰქონდეთ შეძლებისდაგვარად სანდო და „სუფთა“ ტექსტი“. ქალბატონ მზექალას პოლიგლოტური განათლების საფუძველზე ხელეწიფებოდა და ტექსტის მეცნიერულად გასამართავად სასარგებლოდ გამოიყენა „დავითის ცხოვრების“ მარი ბროსესეული, მიხაკო წერეთლის, ჰერტრუდა პეჩის, ქეთრინ ეშთონის, ილია აბულაძის თარგმანები ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ ენებზე. ბუნებრივია, სათანადოდ არის გამოყენებული და დაფასებული დიდი წვლილი აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილისა.

ქალბატონმა მზექალა შანიძემ დიდი დავითის დიდი ისტორიკოსის თხზულების ფასი შესანიშნავად იცის. ცხადია, კარგად იცის ფასი მის მიერვე გაწეული შრომისა, მაგრამ საკმაოდ მოკრძალებულ შეფასებას აძლევს მას. მოვუსმინოთ თვით მზექალა შანიძეს — „წინამდებარე გამოცემა დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტოლოგიური შესწავლისა და ნაწარმოების ავტორისეული ტექსტის შეძლებისდაგვარად დადგენის ცდას წარმოადგენს. გამომცემლის სურვილი იყო, მიეწოდებინა მკითხველისთვის „ცხორებაჲ და გულისხმის-ყოფისა წიგნისაებრ“ გამართული ტექსტი და ამით მცირეოდენი წვლილი შეეტანა იმ ნაწარმოების შესწავლაში, რომლის კვლევისთვის პირველი ვალიანი გზა წინა თაობათა წარმომადგენლებმა გაგვიკაფეს და რომელსაც შემდგომშიც უთუოდ მრავალი მკვლევარი გამოუჩნდება. ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ წინამდებარე ნაშრომში წინ არის წამოწეული ის საკითხები, რომლებიც ტექსტის გამართვას შეეხება. ამის შესაბამისად არის შესწავლილი თხზულების ენისა და სტილის ზოგიერთი მხარე, გათვალისწინებულია კულტურულ-ისტორიული რეალიებიც, რომლებიც ტექსტის გაგებისთვის არის საჭირო. ნაწარმოების ენისა და პოეტიკის სრული, თანმიმდევრული და სისტემური ანალიზი კვლავ მომავლის საქმედ რჩება“.

ამრიგად, ხელთა გვაქვს დიდად ფასეული მეცნიერული გარჯის შედეგი. სამწუხაროა, რომ ძნელბედობის გამო წიგნი მიღწეული განსაკუთრებული წარმატების აღნიშვნის გარეშე დარჩა. დიდად ფასეულია ისიც, რომ გამომცემელმა, ქალბატონმა მზექალა შანიძემ, თხზულების შემდგომი შესწავლის კონკრეტულად გააზრებული სწორი პერსპექტივაც წარმოაჩინა. „მხოლოდ ტექსტოლოგთა და ისტორიკოსთა ერთობლივი კვლევის შედეგად, — მართებულად აღნიშნავს ქალბატონი მზექალა, — გახდება შესაძლებელი როგორც დავითის მემატიანის თხზულებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა (მათ შორის, ნაწარმოების ავტორობისაც), ისე ამ ნაწარმოების ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინება ქართულ ისტორიოგრაფიაში და ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში“.

ჯუმბერ ოდიშელი

წინაპრები

ემზარ კვიტაიშვილი

# რატომ არ მოვკვდე წვიმაში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კავკასიონი“ №№ 148, 154, 159.)

მეორე, უფრო მოზრდილი ნაწყვეტი, ეტყობა, პასუხია შეკითხვისა — რას მოიმოქმედებს, როგორ შევა იგი სულეთში; არც შემკითხველია დავიწყებული, მასაც, მიწის ზევით დარჩენილსაც არ უვიწყებს სიკეთეს გულქანი:

„...როგორ შევალ საიქიოსა?

მძიმე-მძიმედა, მძიმედა. ვკითხავ ამბავს მამასა. მოუსაუბრებ მძიმედა, რო რა თვალთმაქცი და მოკლე ყოფილა, მამაო, ჩვენი წუთისოფელიო. რა დაუნდო ყოფილა სამზეო, რა მოკლე ხნისაო. რა მალე კეტილა სამზეოს კარიო, — ვეტყვი. მამას ეჭავრებოდა შატაბუტაობა... დედას ჩამოვკოცნიდი. არ გადავიხელთები მე, რაც უნდა მიყვარდეს, არ მივარდები მგელივით, არა... ჰკვიანადა. დიდი მოვლენისა ყოფილაო, — იმას ვეტყოდი, — უცნაური წუთისოფელიო. ბუნება ყოფილა ჩვენი გართობაო. მამავ, რამდვენი ქვეყანა მოდიოდა შენი სიყვარულის და შენი შრომის გულისთვინაო. ხატად ჩუევხარ ქართველებსა, ვისაც ჰკვა აქვ და გული უცემსო. შენზე იმას ვეტყოდი, რო ერთი ადამიანი მყვანდა და სუ ის უნდოდა, რო შენი სახელი სამზეოთვი მოეფინაო, გაფასებდაო, სუ წვრილად მეკითხებოდა შენ ხასიათსა, შენ ყოფასა, წვრილ-წვრილადაო.

და-ძმებსაც შევხვდები მძიმედა, ვერ შევხვდები ხელგაშლილი. თვალთმაქცი საქციელი ჩემთან არ იპუება“.

აქვე, დაუძლურებული, თავის თავს პაწია მწვანე ჟიას-მზომელას — ადრის, მცენარის ღეროზე თუ ფოთოლზე ცოცვისას წელში რომ შეიზნიქება და მერე ისევ სწორდება, რათა მცირე მანძილით გადაადგილდეს. ტანში გაგცრის, იმდენად ზუსტი, სამწუხაროა ეს შედარება:

„მზომელას დამაფერა სამზეომა, ხან მოვიკუნჭები, ხან გავიშლები. ტყუილად იტყვის, ტყუილადა კაცი, მე ვერა მომერევაო...“

ცხადია, ამის გამფიქრებელსა და მთქმელს სასიცოცხლო ძალა გამოცლილი აქვს, აჩრდილთა საუფლოში მოხვედრას აღარაფერი უკლია, მაგრამ მაინც ღმერთსა და ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ თავისი უბერებელი და უქკნობი სული ბუნებასავით უხვსა და ულამაზეს წიგნში ჩასტოვა.

* * *

თვითონ ეთერ თათარაიძის — ამ გასაოცარი პოეტური ნიჭისა და არაერთი უნარით დაჯილდოებული პიროვნების გამო უნდა ითქვას — სხვა რომ არაფერი, ეს წიგნიც იკმარებდა, ქართულ მწერლობაში მისი სახელი სამუდამოდ დარჩენილიყო.

* * *

შარშანდელ წვიმიან აგვისტოს დღეს, ვაჟაობაზე რომ ჩავედი ჩარგალში და მუზეუმის ექსპონატებს ვათვალიერებდი, ყველაზე დიდხანს ორ ფოტოსურათთან შევჩერდი. ერთზე თექვსმეტიოდე წლის ვაჟაა, უწვერულვაშო, შავი ნაბდის ქუდი ხურავს, ტუჩები ძლიერად მოუკუმავს, თვალებში უცნაური ცეცხლი უკიაფებს, თითქოს გალიმებას აპირებსო. ჭგუფური სურათიდან არის ამოღებული, გორში (იქ სწავლობდა საოსტატო სემინარიაში) აღმოუჩენიათ სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს. მზერაზეც ეტყობა, ჩვეულებრივი მოკვდავი რომ არ იქნებოდა მის დაზიანებულ, დაწყლულებულ თვალზე ხომ თქვა გულქანმა: „სიბნელეში სხივები ედგაო“ და თექვსმეტი წლისა როგორი უნდა ყოფილიყო.



მეორე, უფრო დიდი ზომის ფოტოზე შავებში ჩაცმული მოხუცი გულქანია გამოსახული, ჭორკოზე ზის; შალის ძაფს ხვეწს და ახვევს, ცერად გაჰყურებს მოშორებით მბრუნავ, აბრეშუმის პეპელასავით ტანდამსხვილებულ თითისტარს, რომელიც სადაცაა სიმძიმისგან გაკოტრიალდება.

„დევის ქალი“, „დევების დედა“... — პირველი ფიქრი ეს იყო. თავისი გარდაცვალების წინა წელს, 1988 წლის 16 თებერვალს, დაუძლურებულმა, მაგრამ ბოლომდე გაუტეხელმა, აწრიალებულმა, თვითონვე ამოიძახა:

„თოვლი... თოვლი... რაღას შამაცივებს, ბევრი ეგეთი ზამთარი ჩამამიდნია... მაინც გამოვალ, მაინცა, დ ე ვ დ ე დ ა თ   დ ე დ ა ბ ე რ ი - ვ ი თ ა ... არ მაშინებს სიკვდილაი, აი, ავადობაი მაშინებს...“

რა ძლიერი ყივილია სულისა... ერთი ზამთარიღა ჰქონდა თურმე ამის მერე დარჩენილი, ერთხელაც ჩამოადნო ახუნის გორზე დადებული თოვლი და თვითონაც ძვლებდამდნარს გულზე დაუკრიფეს სიბერის ტალღებით დაფოთლილი, ნაჯაფარი ხელები.

გულქანიც ხომ „ნაწილიანის“ — „დევის დედა“ იყო, მაგრამ განგებამ მოუსპო ეს სიხარული, არ დასცალდა თავისი ქუდბედიანი ბიჭის გაზრდა. მაინც მოხუცებულ „დევების დედას“ დაემგვანა სიცოცხლის მიწურულს. მასზე უკეთ ამას ვინ იგრძნობდა.

(დასასრული იქნება)

კრივი

იუბილე

# ჩვენებურია, თბილისელი...

## ანდრო ნავასარდოვი 80 წლისაა



კახეთში ანდროს ბაბის — გიორგის გარეშე დღესასწაული არ გაიმართებოდა. სიღნაღელი გლეხი იმთავითვე სახელგანთქმული იყო მუშტი-კრივში. გიორგიმ შვილიშვილს დაანათლა კიდეც თავისი ძალა და ხიხუქე. ანდრო ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მაგარი მკლავითა და ჯანმრთელობით. ტანით ხომ ზორბა იყო — 20 წლის 188 სანტიმეტრი და 81 კილოგრამი იყო.

ბატარაობისას ვის არ გაგვიგია სახელგანთქმული მოკრივე ნიკოლაი კოროლიოვი. იგი ხომ კრივის სინონიმად მიგვაჩნდა ისე, როგორც ბოტვინიკი — ჭადრაკის, მეკოკიშვილი — ჭიდაობის და პაიჭაძე — ფეხბურთისა. ჰოდა, ანდრო ნავასარდოვმა სამჯერ გალახა კოროლიოვი — დიახ, სამჯერ დაამარცხა ოფიციალურ ბრძოლაში (პირველად 1937 წელს „კრილია სოვეტოვის" ფიზკულტურის სასახლეში, მეორედ 1940 წელს „ცეკა-ს" მწვანე თეატრში). ყველაზე შთამბეჭდავი 1944 წლის შეხვედრა იყო, მოსკოვში „დინამოს" სტადიონის ჩრდილოეთ ტრიბუნის წინ რომ გაიმართა. ანდრომ ლამაზად მოუგო იმხანად უკვე ოთხგზის ჩემპიონს ნკოროლიოვს. მერე ლენინგრადელი ნიკოლაი იურჩენკო დაამარცხა და შალვა გორგასლიძესთან ერთად (მსუბუქი წონა) მშობლიურ თბილისში ჩემპიონად დაბრუნდა.

— ჩემმა ძველმა მეტოქემ, ანდრო ნავასარდოვმა, მშვენივრად ჩაატარა ჩემპიონატის ყველა შეხვედრა და დამსახურებულად მოიპოვა „პირველი ხელთათმანის" წოდება მძიმე წონაში — წერდა მოგვიანებით სსრკ-ს ცხრაგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნკოროლიოვი.

სულ ნკოროლიოვი და ანავასარდოვი ათჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან მოსკოველმა (იგი ორი წლით ახალგაზრდა იყო) შვიდი შეხვედრა მოიგო (6 ფინალი). გარდა ამისა, ნავასარდოვი აბსოლუტური პირველობის სამგზის ფინალისტი იყო, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ხუთგზის ჩემპიონი, ამიერკავკასიის სპარტაკიადების უცვლელი გამარჯვებული 5 წლის მანძილზე და საქართველოს თექვსმეტგზის ჩემპიონი (ზედიზედ 1936 წლიდან 1961 წლამდე). ანდროს მთავარ მეტოქეობას ფიზიკურად ძლიერი ხაშურელი მოკრივე — გოდერძი ტაბატაძე უწევდა. მახსოვს, მათი ბრძოლები მეტწილად ცირკის არენაზე იმართებოდა.

...სასტუმრო თბილისის ხხვეწში ძველად ერთი პატარა დარბაზი იყო, სადაც ვარჯიშობდნენ მოჭიდავეები, მოკრივეები და ძალოსნები. ანდრო ჭიდაობით იყო გატაცებული და მწვრთნელ ნიკოლოზ მარტიროსოვთან მეცადინეობდა, რომელსაც მთელი თბილისი „ტაში-კოლას" სახელით იცნობდა.

— ბიჭო, შენ ნამდვილი მოკრივის ტანი გაქვს, — უთხრა ანდროს ჩვენს ქალაქში როსტოვიდან სამუშაოდ ჩამოსულმა სპეციალისტმა ალექსანდრ ეიბერგმა, — გადმოდი ჩვენთან. მე და პიოტრ ოსტრიკოვი გავარჯიშებთ! ასეც მოხდა, ერთი თვის შემდეგ ნავასარდოვმა საქართველოს ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გაიმართა.

მართალია, გამოუცდელობის გამო სოხუმელ მოკრივესთან საშა ანუფრიკოვთან ქულებით წააგო, მაგრამ იმ დღიდან კრივისთვის არ უღალატნია და მოგვიანებით თავის პირველ მეტოქესთან რევანშიც აიღო.

— ბიჭები სულ ჭკუ დემბსის, ჯეიმს ტუნკის, პრიმო კარნესას, როკი მარჩანოს სახელს გავიძახოდით, ლეგენდარულმა ჯო ლუისმა ხომ მოსვენება დაგვიკარგა, — გვიამბობს ნავასარდოვი — სხვათა შორის, ცნობილმა ამერიკელმა ანტრეპრენიორმა ჯექსონმა, 1946 წელს მოწვევა გამოუგზავნა კოროლიოვს — შეხვედროდა „ყავისფერ ბომბდამშენს", მსოფლიო ჩემპიონს — ჯო ლუისს. კოროლიოვი იმხანად დიდებულ ფორმაში იყო და ძალიან უნდოდა ოკეანის გაღმა გამგზავრება, მაგრამ ბერიამ მოწვევის ბარათი აჩვენა სტალინს: „რომ წააგოს? ჩვენ კი დიდი ომი მოვიგეთ!" — იყო პასუხი. ამით ყველაფერი გადაწყდა. კოროლიოვი არ გაუშვეს.

მას შემდეგ, რაც თბილისს დაუბრუნდა კრივის შესანიშნავი სპეციალისტი, ალექსანდრ გოლდშტეინი, ანდრომ მასთან დაიწყო ვარჯიში და ბოლომდე მის მოწაფედ დარჩა სპორტსაზოგადოება „დინამოშიც", საქართველოს ნაკრებშიც და სსრკ-ს მთავარ გუნდშიც.

ანდრო ნავასარდოვი სპორტის დამსახურებული ოსტატია. მან 128 შეხვედრიდან 108 მოიგო. კოროლიოვის გარდა, აღსანიშნავია მისი ბრძოლები ტალინელ მარტინ ლინამაგისთან (ანდრომ 13-დან 10 მოიგო), ლენინგრადელ ნიკოლაი ბელიაევთან (2-დან ერთი მოიგო), კაუნასელ ალგირდას შოციკასთან (8-დან ერთი მოიგო).

— შოციკასი მე ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ მიმაჩნია იმათ შორის, ვისაც კი რინგზე შევხვედრივარ, — გვეუბნება ანავასარდოვი — ქართველი მოკრივეებიდან გამოვყოფდი შალვა გორგასლიძეს, ფრიდონ ლომიძეს და ცხადია, დავით კვაჭაძეს.

განსაკუთრებით სიამოვნებით იხსენებს ანდრო ნავასარდოვი 1946 წელს, როდესაც საქართველოს ნაკრებმა მოსკოვში, სახელმწიფო ცირკის რინგზე, სსრკ-ს გუნდური ჩემპიონატი მოიგო. ჩვენს ნაკრებში დიდებული ოსტატები ირიცხებოდნენ — ბორის კალაძე, გაბრიელ ხანუკაშვილი, შალვა გორგასლიძე, ედუარდ არისტაკისიანი, გიორგი ვართანოვი, გიული ცანავა, შალვა დვალი, ლევან ლუდუშაური და გუნდის კაპიტანი — ანდრო ნავასარდოვი, რომლის დიდებული დარტყმები მარცხენა ხელით დღესაც ახსოვთ ძველ გულშემატკივრებს. მთელი 14 წლის განმავლობაში ნავასარდოვი სსრკ-ს ნაკრების წევრი იყო, რომელსაც სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ კონსტანტინ გარადობოლოვი, ალექსანდრ გოლდშტეინი და ვიქტორ მიხაილოვი.

1946 წელს მოსკოვში, „დინამოს" სტადიონზე, კრივში საკავშირო ჩემპიონატის ფინალი გაიმართა: — ვინ არის ეს, ასე რომ უბათქუნებს კოროლიოვს? — დაეკითხა თურმე ისტალინი ლბერიას.

— ჩვენებურია, თბილისელი, ავლაბრელი ანდრო ნავასარდოვი! — იყო პასუხი.

ეს ამბავი ნავასარდოვს მოგვიანებით გაიოზ ჭეჭელავამ უამბო. ანდრო ნავასარდოვის მოწაფეები იყვნენ ცნობილი მოკრივეები — გივი დარბაისელი, ლევან ანდღულაძე, მურმან თაქთაქიშვილი, დავით კვაჭაძე– ერთ დროს მისი შვილიც მისდევდა კრივს. ახლა პაპას იმედი აქვს, რომ შვილიშვილი — პატარა ანდრო — გააგრძელებს გვარის ტრადიციებს. იგი ხომ პაპასავით ტანმაღალი და ღონიერია.

ბარე საათნახევარი ვისაუბრეთ შესანიშნავ ვეტერანთან, ხვალ, 17 სექტემბერს, დაბადების 80 წელი რომ უსრულდება.

— დავილაღე — გამოგვიტყდა ბატონი ანდრო, — მერჩივნა რინგზე ექვსი რაუნდი ჩამეტარებინა.

— ახლა, ალბათ, თქვენს გრძელ სკამს მიაშურებთ. ტრადიციულად რუსთაველის გამზირზე, კაფე „ნარგიზის" წინ რომ დგას?

— ეჰ, იმ სკამზე ჩემი ძველი მეგობრებიდან უკვე თითო-ოროლა კაცი თუ დარჩა. წავალ მაინც, ეგებ იქ იყვნენ!

**ოთარ ნოზაძე**

სურათზე: ანდრო ნავასარდოვის (მარცხნივ) და ნიკოლაი კოროლიოვის ბრძოლა (გადაღებულია 1946 წ. მოსკოვში). ფოტო ავტორის არქივიდან.

ფეხბურთი

# «დინამო» (ბათუმი) — «სელტიკი» (გლაზგო) 2:3 (1:2)

ხუთშაბათს თასების მფლობელთა თასის 1/16 ფინალური შეხვედრები გაიმართა. ქართველ გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი ბათუმში — ადგილობრივ „დინამოსა" და გლაზგოს „სელტიკს" შორის. თამაში ნელ ტემპში დაიწყო, თავიდან ბათუმმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელა, რასაც პაატა მაჭუტაძის გოლი მოჰყვა. შეტევისგან განსხვავებით, ბათუმელთა დაცვა სუსტად გამოიყურებოდა, სწორედ დაცვაში დაშვებული შეცდომების გამო, ბათუმელებმა უკვე პირველ ტაიმში ორი გოლი გაუშვეს, ჯერ ტომმა გამოიჩინა თავი, ხოლო შემდეგ დონელმა — 1:2, ხოლო ამის შემდეგ პირველ ტაიმში აღარაფერი შეცვლილა. მეორე ტაიმიც ბათუმელთა შეტევებით დაიწყო, რამაც შედეგი გამოიღო – ბათუმელთა ბრწყინვალე კომბინაცია არანაკლებ ბრწყინვალედ დაასრულა ტუღუშმა — 2:2. იმედი კვლავ გაჩნდა, მაგრამ ამაოდ, მატჩი დამთავრებას უახლოვდებოდა, როცა ტომმა თავისი მეორე გოლი გაიტანა და „სელტიკს" გამარჯვება მოუტანა.

„შალგირისი" (ლიტვა) – „ტრაბზონსპორი" (თურქეთი) 2:2 (ერთი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა).

„დაბი ლიეპაია" (ლიტვა) – „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 0:7

„ბრიუგე" (ბელგია) – „შახტიორი" (უკრაინა) 1:0

„ლოკომოტივი" (ბულგარეთი) – „ჰალმშტადი" (შვედეთი) 3:1

„რეიკიავიკი" (ისლანდია) – „ევერტონი" (ინგლისი) 2:3

„ინტერი" (სლოვაკეთი) – „სარაგოსა" (ესპანეთი) 0:2

„რაპიდი" (ავსტრია) – „პეტროლული" (რუმინეთი) 3:1

„მოლდე" (ნორვეგია) – „პ.ს.ჟ" (საფრანგეთი) 2:3

„აეკი" (საბერძნეთი) – „სიონი" (შვეიცარია) 2:0

„მიონხენგლადბახი" (გერმანია) – „სილექსი" (მაკედონია) 3:0

„ტეუტა" (ალბანეთი) – „პარმა" (იტალია) 0:2

„სპორტინგი" (პორტუგალია) – „მაკაბი" (ისრაელი) 4:0

„აპოელი" (კვიპროსი) – „დეპორტივო" (ესპანეთი) 0:0

„პრადეც კრალოვე" (ჩეხეთი) – „კოპენჰაგენი" (დანია) 5:0

„დინამო" მოსკოვი (რუსეთი) – „არარატი" ერევანი (სომხეთი) 3:1

მიხეილ ბერძენიშვილი
ლევან გოთუა
ბაჩო მიქაძე

ჭადრაკი



# რჩება ორი ტური

კიშინიოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა საზონათშორისო ტურნირი დასასრულს მიუახლოვდა, თუმცა, ჯერ ადრეა რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანა. შეიძლება მხოლოდ ორი მონაწილის დასახელება, რომლებიც თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობენ. ესენი არიან ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი, რომლებსაც არ უნდა გაუჭირდეთ პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზურის მოპოვება.

მეთერთმეტე ტურში კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა არახამიამ, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა ბოიკოვიჩს. კახიანი ყაიმზე შეუთანხმდა პენგს. ამრიგად, არახამია 8,5 ქულით პირველ ადგილზეა, კახიანი — 8 ქულით მეორეზე.

გალიამოვა — იოსელიანის, მატვეევა — ცინისა და მიხანოვიჩ-ფოიშორის პარტიები ყაიმით დასრულდა. გურიელმა მოუგო მარიჩს, ხუანგმა — გაპონენკოს.

ამრიგად, ორ ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან: იოსელიანი და გურიელი, რომელთაც 7,5-7,5 ქულა აქვთ. 7-7 ქულა მოაგროვეს გალიამოვამ, მატვეევამ, ცინმა და პენგმა, 6,5 ქულა — მარიჩმა, ბოიკოვიჩმა, ხოანგმა, სკრიპჩენკომ, ფოიშორმა, კრუპკოვამ და მიხანოვიჩმა.

მეთერთმეტე ტურში ეძგვერაძემ მოუგო სტეფანოვას, ლომინეიშვილმა — პეტრენკოს, ყაიმზე შეთანხმდნენ ზაიცევა და ხორციძე. ხორავა დამარცხდა სემიონოვასთან, ჯანჯღავა — პაასიკანგასთან. ეძგვერაძეს 6 ქულა აქვს, ხურციძეს — 5,5, ხორავას და ლომინეიშვილს — 5-5, ჯანჯღავას — 3,5 ქულა.

მეთორმეტე ტურში ყურადღების ცენტრშია პენგ-არახამიას, კახიანი-გურიელის, იოსელიანი — ტინას და მატვეევა — გალიმოვას შეხვედრები.

ვერის უბნის მშვენებას, საყვარელ ადამიანს სულიკო ჯინჯიხაძეს გულთბილად ვულოცავთ დაბადების 60 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას თავისი შესანიშნავი ოჯახით და პირად ბედნიერებას ცხოვრებაში.

შენი ვერელი მეგობრები: შალვა ქირია, ვახტანგ ვარდოსანიძე, ირაკლი ონოფრიშვილი, რეზო ყორანაშვილი, რობერტ შავდათუაშვილი, ზაურ ხაჭაპურიძე, ომარ დარსაძე, გურამ სულაძე.

ტესტი

# რას აკეთებთ დილაობით?

გაიღვიძებთ თუ არა:

1. მაღვიძარას ყურადღებას არ აქცევთ.

თქვენ ეკუთვნით ოჯახში განებივრებულ ქალთა რიცხვს. უარს არ ამბობთ კომფორტზე, მაგრამ არა სიზარმაცის გამო. გვიან ღამემდე ფუსფუსებთ სახლში და არ გინდათ დროზე დაიძინოთ. დიდი ფანტაზიის უნარი გაქვთ, მაგრამ პატარა ენერგია. ემოციურ ცხოვრებაში გაუბედავი, უინიციატივო ხართ.

2. დილის პარჯიშს იწყებთ.

თქვენ აქტიური, მშვიდი ადამიანი ხართ. ენთუზიაზმით ეკიდებით ყველაფერს, რაც ახალ დღეს მოაქვს — სამუშაო თუ დასვენება. ზრუნავთ ფიგურასა და ფიზიკურ მომზადებაზე. გარშემომყოფთა მიმართ გულახდილი და გულღია ხართ. მამაკაცები სიმპათიურ ქალად მიგიჩნევენ და შენში იდეალურ მასალას ხედავენ ცოლის როლისთვის.

3. სარკეში იყურებით.

საკუთარ თავში დარწმუნებულობა გაკლიათ და ამის გამო მუდმივად აკონტროლებთ საკუთარ თავს და ზრუნავთ ჯანმრთელობაზე. თქვენს ყურადღებას მხოლოდ ძლიერი გატაცება მიიპყრობს. სერიოზულობით ეკიდებით სამსახურეობრივ მოვალეობას, ძალიან აკურატული და... მოსაწყენი ხართ. იფიქრეთ ამის შესახებ, რადგან მოსაწყენ ქალზე მამაკაცები დიდხანს არ აჩერებენ ყურადღებას.

4. ტელეფონით რეკავთ.

დაჩილდოვებული ხართ ორგანიზატორული ნიჭით, სწორად ანაწილებთ დროს, თუმცა, მუდმივი დაძაბულობის პირობებში გიწევთ ცხოვრება და სალამოს გატანჯული ხართ. ყველა და ყველაფერი გაინტერესებთ, ყველა თემაზე შეგიძლიათ აზრი გამოთქვათ. მეორე სქესი ამის გამო დამღლელად, თავზეხელაღებულად მიგიჩნევთ და... გაგირბით.

# გაქვთ თუ არა მიდრეკილება სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევისკენ?

თუ გაინტერესებთ, რას ფიქრობთ სხვებზე ან საკუთარ თავზე (საკუთარ ჩვევებსა და აზრებზე) დამოკიდებულების შესახებ, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს კი, არა ან არ ვიცი დაუფიქრებლად. მიენდეთ საკუთარ თავს და შემდეგ წაიკითხეთ პასუხები.

1. ბავშვობიდანვე მახსოვს, რომ ჩემი მშობლები ცდილობდნენ ყოველი წვრილმანიც კი თავად გადაეწყვიტათ.

2. მშურს იმ ადამიანების, რომლებსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ ადგომა და საზოგადოების მიტოვება.

3. გულის კუნჭულში ყოველთვის მახსოვს ის ადამიანი, რომელიც უკვე აღარ არის ჩემს გვერდით.

4. ვერაფერს ვუხერხებ მარტოობას, მაშინაც კი, როცა ეს ძალზე აუცილებელია.

5. სისულელედ მიმაჩნია საკუთარი შეხედულების მტკიცება, როცა ირგვლივ ყველა სხვა აზრისაა.

6. არჩევანის ნიშანში თუ ვდგავარ, სხვათა კეთილდღეობაზე ფიქრი მამოძრავებს.

7. სწორად ამბობენ, რომ თავად ცხოვრება მოითხოვს ჩვენგან, დავემორჩილოთ იმას, ვისაც ჯერ არს.

8. მიყვარს, როცა ვინმე მყავს გვერდზე.

9. ზოგ სიტუაციაში და ზოგი ადამიანის გვერდით თავს შეზღუდულად ვგრძნობ, ჩემი საქციელი თავისდაუნებურად იცვლება.

10. სიმართლე რომ ვთქვა, მიჭირს უარის თქმა მაშინაც კი, როცა ეს აუცილებელია.

11. ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობას ჩემთვის უსიამოვნებები მოაქვს, მაგრამ მე არ შემიძლია მათთან კავშირის გაწყვეტა.

12. მაქვს რამდენიმე აკვიატებული ფიქრი, რომელსაც ვერ ვიშორებ თავიდან.

13. ზოგი ადამიანი ჩემს აზრებსა და საქციელზე დიდ ზეგავლენას ახდენს.

14. ჩემთვის წარმოუდგენელია ყველაფრის შეცვლა და ცხოვრების თავიდან დაწყება.

15. ძალიან მსიამოვნებს ჩუქება, მაგრამ ასევე სიამოვნებით ვღებულობ საჩუქრებს.

კი — 10, არა — 0, არ ვიცი — 5.

150-100: თქვენ მოგწონთ, როცა სხვაზე ხართ დამოკიდებული, სხვაგვარად ცხოვრება თქვენთვის უხალისო იქნებოდა. ზოგჯერ წყალივით და ჰაერივით გესაჭიროებათ თქვენთვის კარგად ცნობილი სიმბიოზი ადამიანებთან და იდეებთან. ბევრ ადამიანთან ხართ ძალიან ახლო დამოკიდებულებაში, რაც ხშირად გბოჭავთ. საჭირო რომ გახდეს, შეძლებთ ამგვარი კავშირების გაწყვეტას?

99-50: თქვენ იოლად პოულობთ ბალანსს სხვაზე დამოკიდებულებასა და დამოუკიდებლობას შორის. თქვენ ხშირად გძლევთ დამოუკიდებლობის სურვილი, რადგან იცით, საკუთარი თავის ფასი და გიყვართ, როცა სხვებიც გაფასებენ. იოლად ამბობთ უარს იმაზე, რაც ადრე თქვენი თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა. ახლა აღარ იბრძვით და კარგად გესმით, რომ დროდადრო დათმობა საჭიროა.

49-0: თქვენი მთავარი პრინციპი დამოუკიდებლობაა. უარყოფთ სხვაზე დამოკიდებულების ყოველგვარ ფორმას. ზოგჯერ ეს ძვირად გიჯდებათ, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მორალურად, მაგრამ მოგეხსენებათ თუ არა, რომ ადამიანმა გაუძლო გამყინვარების პერიოდს სწორედ ადამიანების და... ადამიანისა და ირმის ურთიერთდამოკიდებულების წყალობით?

# ვინ ავირჩიოთ?!

ვინ ავირჩიოთ?! ვინ ავირჩიოთ?!
აი საკითხი ძალიან მძიმე
რადგან ცოტა გვყავს
„პოლიტ-ვარსკვლავი"
აშკარად დიდი და მოციმციმე.

ვინ ავირჩიოთ, ვიფიქროთ ერთად
ერთმანეთს კი ნუ დავეჭიდებით,
მაგრამ ვინ უნდა არ ავირჩიოთ,
ამას კი გეტყვით დაბეჯითებით.

არ ავირჩიოთ რაიკომებში
„სპეცსელექციით" ნაშობი კადრი,
ვინც კარგად იცის გაყიდვა მიწის
და ფულიანი სავარძლის ყადრი.

არ ავირჩიოთ ვინც დემონსტრანტებს
უყეფდა ფართოდ გაღებულ ხახით,
ვისაც აპრილის სისხლი აცხია
და დღეს კენჭს იყრის უმანკო სახით.

არ ავირჩიოთ „მოღვაწეები"
ვისაც დამპყრობი ემყარებოდა
ვინც კომპარტიას ქართველი ხალხის
დაჩოქებაში ეხმარებოდა.

ვის გამოც მასა დაჩლუნგებული,
ბელადისმდომი გზას ვეღარ იგნებს
და, ალბათ, დიდხანს ვერ მოინელებს
იმ გულისამრევ ფილმებს და წიგნებს.
არ ავირჩიოთ მედროვეები
ყველა მთავრობის ბუტუს მწოვარი,
„ნაწიილარ", „ნამრგვალ",
„ნაიმასქნარი",
შენიღბული და ღია მსტოვარი.
არ ავირჩიოთ ვინც მილიონებს
თავისი არსი უკვე აჩვენა:
მსუქან კისერზე შეისვა კერპი
და სტადიონზე ისე აჭენა.
არ ავირჩიოთ ის დედაკაცი,
ქოფაკს რომ ჯაბნის ყეფის დოზაში
არც მოსისინე (ვითომდა მშვიდად)
სათვალიანი გველის პოზაში.
არ ავირჩიოთ „ცნობილი პირი"
რომელსაც არ აქვს კაცობის ბაზა,
არც ის აშკარად დაეწყო ვისაც,
გამოშტერების დასკვნითი ფაზა.
არ ავირჩიოთ „არაფორმალი",
კომუნისტური სულისკვეთებით,
ვინც წმინდა საქმე გააბინძურა,
მოძმის ძარცვით და ფულის კეთებით.
არ ავირჩიოთ ვინც ყველა დროში
ყოვლისკადრებით იშოვნა განძი,
არ ავირჩიოთ, არ ავირჩიოთ,
ლაჩარი, ბოღმა, ურცხვი და ანცი.
მოკლედ ყველა იმ არ ასარჩევის
ჩამოთვლით რომ არ გაგვიწყდეს ქანცი,
მარტივად გეტყვით, ხუთ მილიონში
აირჩეს უნდა ორასი კაცი.
ორასიოდე დალაგებული,
არა მექრთამე არა ყაჩაღი,
ფსიქ.დისპანსერში შემოწმებული
(რომ არ ჩაარტყას ვინმეს ნაჯახი,
ან დეპუტატის არ შესაფერი
სხვა რამე არ ქნას თავმოსაჯაყი)
არა მეძავი, არა ლაქია,
უნდა შეირჩეს ორასი სული,
რომ იქნებ რამე გადავარჩინოთ,
რომ კატასტროფა არ ყოს სრული
და თუ ვერ დავსვით ამჯერად ისევ,
იქ ჯდომის ღირსი ქალი და კაცი,
მაშინ მოგვიწევს ახალი ვადით,
რუსი „მწყემსი" და ქართველი „კაცი"
კვლავ უკანონოდ, გვიზამენ, რასაც
შვილებს კანონით უშვება მამა
და გაგრძელდება, ისტორიულად
უკვე ნასინჯი პროდუქტის ჭამა.

რუსლან მიქაბერიძე
27.08.95

# ანეკდოტები

* * *

რაჭველი მკერავი ოცნებობს:
— უჰ, მეფე რომ ვიყო, რავა მეფურად ვიცხოვრებდი?! მეფეზე უკეთესად კიდო...
ეკითხებიან:
— მეფეზე უკეთ როგორღა იცხოვრებდი?
— ქვე კერვაც ხომ ვიცი, შენი ჭირიმე.

* * *

დილით ცოლი ქმარს აღვიძებს. ქმარი ბუზღუნით:
— რა იყო, ისევე?
— არა, სამსახურში გაგვიანდება.
— ვაშააა, სამსახურშიიი!...

* * *

— ექიმო, რაღაც უკანალში საქმე ვერა მაქვს კარგად.
— რა უნდა იყოს რითო, მანდ კარგი?!

* * *

მიწიდან ორი ჭიაყელა ამოძვრა:
— გამარჯობა, მე ბონდი ვარ. შენ ვილა ხარ?
— მე შენი ტრ...ი ვარ.

* * *

ა პუნქტიდან ბ პუნქტისკენ მატარებელი გავიდა. მის შესახვედრად ბ პუნქტიდან ა პუნქტისკენ სხვა ელმავალი გამოვიდა.
კითხვა: რატომ ვერ შეხვდნენ?
პასუხი: ბედი არ იყო.

* * *

კითხვა: რატომ არ ჭამს აქლემი ბამბას?
პასუხი: არ უნდა.

* * *

კითხვა: რატომ აქვს სპილოს წითელი თვალები?
პასუხი: იმიტომ, რომ კარგად დაიმალოს პომიდორებში.
— გინახავს როდესმე, პომიდორებში შემალული სპილო?
— საქმეც ეგაა! ისე უნდა დაიმალო, რომ ვერ დაგინახონ.

* * *

ზოოპარკში კაცი მივიდა.
— მიმიღეთ თუ შეიძლება სამსახურში, თორემ უმუშევარი დავრჩი, ყველა ადგილიდან მაგდებენ.
— რატომ?
— ძალიან ნელი რეაქცია მაქვს.
— კარგით, მაშინ კუს უყარაულეთ.
დილით გაირკვა, რომ კუ დაიკარგა. ახალ დარაჯს ჰკითხეს:
— სად არის კუ?
— რა ვიცი, დილით გალია შევაღე და რო „მოწყვიტა" ადგილიდან, რაღას დავეწეოდი?!

* * *

კაცი მილიციაში მივიდა:
— ამ წუთას ქალი გადავარჩინე გაუპატიურებას!
— როგორ მოახერხეთ?
— დავითანხმე.

* * *

ერთ ქალს ეკითხებიან:
— რა ჰქვია კაცს, რომელსაც უნდა, მაგრამ არ შეუძლია?
— იმპოტენტი.
— და რომელსაც შეუძლია, მაგრამ არ უნდა?
— ჩათლახი...

# კროსვორდი



თარაზულად: 5. კედლის ან ჭერის ნაწილი, რომელსაც შემოვლებული აქვს ორნამენტი და რომელშიც თავსდება რაიმე ნახატი ან სკულპტურა; 6. ესპანელი მხატვარი; 7. როდინი იგივე...; 8. დიდი ჯარეული ფრინველი; 12. განმარხებული სპილოს მსგავსი გრძელბალნიანი ცხოველი; 13. მთიულ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი, შვილიერების მფარველი ღვთაება; 14. ინგლისელი მსახიობი და რეჟისორი, ადმირალ ნელსონის როლის შემსრულებელი ფილმში „ლედი ჰამილტონი"; 15. სიგრძის ძველებური ფრანგული ერთეული; 16. ინდიელთა ტომი; 22. ყვავილი; 23. სწორკუთხა სახაზავი — მკუთხავი; 25. გურულების, აჭარლებისა და მესხების ძველებური ტანსაცმელი; 26. ცხელი სასმელი; 27. ჰიუგოს რომანის პერსონაჟი; 28. რევიუს სახეობა; 29. სოფელი სამეგრელოში; 35. ეშმაკი, მაცდური; 36. შავიზღვისპირა კურორტი; 37. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი; 39. მედეა ჯაფარიძის მიერ შექმნილი სახე ფილმში „მზე შემოდგომისა"; 41. ცინე-სიმგრე მარსელთან; 44. ხელმოკლე ინტელიგენტები, რომლებიც არეულ, უთავბოლო ცხოვრებას ეწევიან, — ასეთი ცხოვრების წესი; 46. გაუშლელი ყვავილი; 47. თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი; 48. გაერთიანება, კავშირი ორი მონარქიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მეფის მეთაურობით; 49. მარინა კახიანის კინოროლი ფილმში „გამოცხადება"; 50. ჭადრაკის ფიგურა; 51. საბჭო, როგორც ხელისუფლების ორგანო უკრაინასა და პოლონეთში.

შვეულად: 1. აკირა კუროსავას ფილმი; 2. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 3. ქალაქი ვაშინგტონის შტატში; 4. ვოკალურ-საკრავიერი ნაწარმოების ყველა ხმის სანოტო ჩანაწერი; 9. უცნობი სიდიდე; 10. პოპულარული რუსი საესტრადო მომღერალი; 11. ქალის თბილი მოსასხამი; 17. ვერიკო ანჯაფარიძის ეკრანული სახე; 18. წვრილი ხურდა ფული ინდოეთსა და პაკისტანში; 19. ნინელი ჭანკვეტაძის კინოროლი ფილმში „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა"; 20. ხის სათლელი იარაღი; 21. მსახიობი; 23. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 24. ფეხსახსრიანი ზხამიანი ცხოველი; 30. მუსიკალური საკრავი; 31. დაბალი და გამხდარი ადამიანი; 32. მდინარე ყაზახეთში; 33. ლერწი იგივე...; 34. ქალის თავსაფარი; 38. იაპონელი კინორეჟისორი; 40. ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდელმსახურების დროს მედავითნის, დიაკვნის, მღვდლისა და ეპისკოპოსის ჩასაცმელი; 42. დედალი ცხენი; 43. ტანსაცმლის ბოლოზე შემოკერებული ქსოვილი; 45. ცალკე მღეროდია გუნდურ სიმღერაში.

შეადგინა
მაია ინაურმა